ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 25 ივლისი 2002 №137 (1659) | ფასი 50 თეთრი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ექსკურსია მორჩა, ფეხბურთი იწყება

## ტორპედომ სპარტა ფარერებზე გაიფორმა



ჩეხეთის ჩემპიონატი პრაღის „სპარტამ" კარელ პობორსკის გოლით დაიწყო

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი დღე, ერთი კვირის წინანდელთან შედარებით მეტად მწირი იყო ქართველთა გოლებით. მაშინ, ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ქუთაისის „ტორპედო" ხომ ხუთი გოლით გამოირჩა, სკონტოელმა ლევან კორღალიძემ და შერიფელმა ვაჟა თარხნიშვილმაც თითო შედეგიანი დარტყმა მიითვალეს.

გუშინ, საპასუხო მატჩებში გატანილი ოცი გოლიდან ქართული მხოლოდ ერთი იყო — დავით ჯანაშიასი, რომელიც საკმარისი გამოდგა B 36-ის ტორსჰავენში დასამარცხებლად. თუმც ვერგატანილ გოლებზე გამოკიდება არც ღირს, მთავარია, რომ „ტორპედო" შემდეგ ეტაპზე გავიდა, ისევე, როგორც, კორღალიძისა და თარხნიშვილის გუნდები. ოღონდ ისიც დავძინოთ, რომ საამაყო ამაში არაფერია, ფარერული, ყაზახური თუ უელსური ბარიერები ქართველებს არ უნდა აბრკოლებდნენ.

მეორე ეტაპზე „ტორპედოს" მეტოქე ჩეხური „სპარტაა" და მის დამარცხებას ქუთაისელთათვის ბევრად დიდი ფასი ექნება, რაკი უდავო ფავორიტებად სწორედ პრაღელები ითვლებიან წინა სეზონთან შედარებით ამ გუნდის დასუსტების მიუხედავად. მომავალი მეტოქის ძალა მით უფრო თვალში საცემია, რომ ფარერელებმაც აღმოაჩინეს „ტორპედოს" თამაშში ხარვეზები.

აქვე უპრიანია აღვნიშნოთ, რომ გუშინვე დაიწყო ჩეხეთის ჩემპიონატი და პირველ ტურში „სპარტამ" 1:0 მოუგო „ტეპლიცეს". გოლი კარელ პობორსკიმ გაიტანა, ვისაც საგანგებო წარდგენა არ სჭირდება.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები კი მომავალ ოთხშაბათს გაიმართება.



გუშინ „ტორპედომ" B 36-ს დავით ჯანაშიას ერთადერთი გოლი აჯობა

NBA DENVER NUGGETS

# ამერიკელებს და ცქიტიშვილს ცქიტიშვილი მოსწონთ

## ინტერვიუ კმაყოფილ ნიკასთან, რომელსაც სოხუმში გასეირნება ელის



გინდ ევრომანია დაარქვით, გინდ ევროლუცია ანაც ნებისმიერი ევრორალაცა და ამერიკელებმა ათეულობით კი წაიყვანეს ბებერი კონტინენტიდან სულ დარჩეული, ახოვანი ბიჭები საკალათბურთო წალკოტ ნბა-ში. მათ შორისაა 19 წლის ქართველი ნიკოლოზ ცქიტიშვილი.

არ გვინდა, ვიფიქროთ, რომ ცქიტიშვილის მიერ ატლანტის გადალახვა ევრომოდას აყოლილ ამერიკელთა ხუშტურის გამო მოხდა და ამ ეჭვს ამერიკელთა, კერძოდ კი დენვერელთა ქართველის მიმართ მიდგომაც აბათილებს. „დენვერი" დაუნანებლად ჩადის ცქიტიშვილზე ფსონებს — დრაფტზე მას მეხუთე არჩევანი დახარჯა და მოგვიანებით სულ იოლად გაუფორმა სოლიდური კონტრაქტი. შესაძლოა, დენვერელებს უფრო სრული და ჩამოყალიბებული წარმოდგენა აქვთ ცქიტიშვილის შესაძლებლობებზე, ვიდრე თავად ნიკას საკუთარ თავზე. ერთგვარი სასიამოვნო მოულოდნელობაა, როცა ნბა-ს გუნდი გენდობა და საკუთარი ნიჭის შეცნობაში გეხმარება.

„ჰა, ძმაო, ბურთი, მოედანი და ახალი ბოტასები, მიდი და ითამაშე" — დენვერელები მოედნისაკენ უბიძგებენ ნიჭიერ ქართველს.

ნამდვილ თამაშებამდე შორია. გვინდა, გვჯეროდეს — რამდენიმე წლის შემდეგ ცქიტიშვილი იმედნად მომწიფდება, რომ სეზონთაშორის პერიოდს კალათბურთისგან დასასვენებლად გამოიყენებს და არა საზაფხულო ლიგებში კალათბურთის დასახვეწად, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ახლა ჭაბუკი ქართველისთვის სწორედ საზაფხულო ლიგებში წრთობის დროა.

„ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ" — ამბობს „სარბიელთან" მორიგ ინტერვიუში ცქიტიშვილი. კარგია, როდესაც ნიკას კმაყოფილების გრძნობა უჩნდება ანდრეი კირილენკოს, ტაისონ ჩანდლერისა და იაკოვოს ცაკალიდისის წინააღმდეგ ნათამაშევს. კიდევ უკეთესი იქნებოდა, თუ რამდენიმე თვის შემდეგ ცქიტიშვილი ცქიტიშვილის მიმართ კმაყოფილებას იგრძნობდა და ზემორე სიტყვებს ალალად გაიმეორებდა დირკ ნოვიცკისთან, კევინ გარნეტსა და კრის ვებერთან თამაშის შემდეგ. შაკილ ონილზე და ტიმ დანკანზე ამ კუთხით საუბარი კი, თქვენი ნებართვით, რამდენიმე წლით გადავდოთ.

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან
იხილეთ მეცამეტე გვერდზე


დავით ჯანაშია

# ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## B36 ტორსჰავნი 0:1 ტორპედო (2:5)

ტორსჰავნი. 24 ივლისი. 23.00 საათი

0:1 დ. ჯანაშია (76)

B36 ტორსჰავნი: ტორგარდი, დანიელსენი, ფლორჯაკუ (იაკობსენი 85), კლემენტსენი, იონსონი, ბორგა, პეტერსენი, ლაკოვი (მოულსენი 85), მორტენსენი (მოულსენი 85), ზაჰარიასენი, მატრასი
მწვრთნელი: პიოტრ კრაკოვსკი

ტორპედო: ქანთურია, მახვილაძე, დიდავა, ქემოკლიძე, ქილიძე, აბალაკოვი, გურული, კვეტენაძე, იონანიძე (პორონიანი 46), ასათიანი, ჯანაშია
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

გაფრთხილება: ქანთურია (23), იონსენი (62), ქემოკლიძე (79)

მსაჯები: პოლ მაკკეონი, ჯონ პიტერ კელი, მარტინ მოლონი, ჯონ ფიგნერი (ყველა ირლანდია)

# მერანი გახურდება და შეიმოსება

„ლოკომოტივთან“ ამხანაგურ მატჩში 0:6 შერცხვენილი „მერანი“ გუშინ ყვავილნარში გაემგზავრა ერთკვირიან შეკრებაზე. ოთარ გაბელიამ 23 ფეხბურთელი დარაზმა წინასაჩემპიონატო ბოლო გავარჯიშებისთვის.

მწვრთნელმა ყვავილნარში ესენი იახლა: ნაჭყებია, გაბელია, გიორბელიძე, ილურიძე, გუჯაბიძე, ი. შენგელია, გ. ხიზანიშვილი, კოშკაძე, მეხსი, დ. რევაზიშვილი, ბართაია, ხაბაშვილი, გრ. გვაზავა, ფირცხალაიშვილი, თუთარაშვილი, ბ. ნოზაძე, ჩილვინიძე, ალუაშვილი, კვანტალიანი, ჯიქია, ბაკელიძე, ქადაგიძე, ხხირტლაძე.

გაბელიამ ჭინჭარაული, დევიძე და გრიგორიევი ვერ წაიყვანა. მათ პირადული პრობლემები ჰქონიათ და მოგვიანებით შეუერთდებიან გუნდს. „მერანი“ ჩემპიონატის ახალი ფორმით შეხვდება. გუნდის პრეზიდენტის, ანზორ მამალაძის თქმით, ავჭალელებს საფეხბურთო აღჭურვილობა რამდენიმე დღეში ჩამოუვათ. გუნდი ყვავილნარში 1 აგვისტომდე დარჩება და ამ ხნის განმავლობაში საკონტროლო მატჩებსაც გამართავს.

**თამილა ბუჩუკურიძე**


ოთარ გაბელიამ „მერანი“ ყვავილნარში წაიყვანა


ქენესი — შერიფი. ანდრეი ნესტერუკის (№6) გოლმა მეორე ეტაპზე „შერიფი“ გაიყვანა

# წყალტუბოში შევიარე, წამოვიღე პეთ თრიქი

## ვაჩიბერაძემ ზესტაფონურად მოუქცია

**საზაფხულო შესვენება** ზესტაფონის „მეტალურგის“ მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ ნაყოფიერად გამოიყენა და გუნდი შვიდი ახალწვეულით გააძლიერა. ამ დღეებში იმერლებმა კიდევ ერთი ფეხბურთელი, უმაღლეს ლიგაში სამწლიანი ჯახირის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ალზევებული წნორის „მილანიდან“ მცველი კობა კობაიძე გადაიბირეს. სიახლეა ისიც, რომ გამოცდილი ნახევარმცველი გიორგი სუხიაშვილი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ახალი სეზონისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ სუხიაშვილმა მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტრავმის გამო გამოტოვა. მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ახლა უკვე ჯანზეა.

ამასობაში ზესტაფონელებმა კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს და წინა მატჩის დარად „მშვიდობიანად“ დაშორდნენ მეტოქეს. პირველლიგელ „ქობულეთთან“ იმერელთაგან თავი ონისე შველიძემ გამოიჩინა, ზღვისპირელთა საპასუხო გოლი კი პაატა ბაყუნაშვილის ანგარიშზეა.

ამ მატჩში „მეტალურგის“ თავკაცმა მეტოქეს ორი შემადგენლობა დაუპირისპირა. პირველ ტაიმში ზესტაფონელთაგან ითამაშეს: მერკვილიშვილმა, ორმოცაძემ, კობაიძემ, მაღლაკელიძემ, შეყრილაძემ, მემარნიშვილმა, სულაკაძემ, ზაჭაპურიძემ, ჭუმბურიძემ, ვაჩიბერაძემ, ენდელაძემ. მეორე ნახევარში კი „ქობულეთს“ ეს თერთმეტეული დაუხვდა: ა. ლაბაძე, გოგაძე, კობაიძე, ჭოხონელიძე, ხარებავა, მ. ლონდაძე, სუხიაშვილი, შველიძე, გურეშიძე, ფოფხაძე, თავბერიძე.

გუშინ „მეტალურგმა“ საწვრთნელი შეკრება დაასრულა და მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა. ზესტაფონელებმა გზად წყალტუბოში შეიარეს და ადგილობრივ „სამგურალს“ ამხანაგურად გაეჯიბრნენ. უმაღლესლიგელებმა 5:2 დაჩაგრეს მეტოქე. მასპინძელ ქურციკიძისა და ქობალიას გოლებს სტუმართაგან თავბერიძემ, სულაკაძემ და ვაჩიბერაძემ (სამი) უპასუხეს. ჯერ კიდევ წინა სეზონში „სამგურალში“ მოთამაშე ზაზა ვაჩიბერაძემ პეთ თრიქი „უსახსოვრა“ ყოფილ გუნდს. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ვეტერანი ზვიად ენდელაძე კი ფეხს შეუწუხებია და ზაურ ჩუბინიძემ დაასვენა.

„მეტალურგმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ა. ლაბაძე (მერკვილიშვილი), ორმოცაძე (გოგაძე), შეყრილაძე (ჭოხონელიძე), მაღლაკელიძე (შველიძე), მემარნიშვილი (ფოფხაძე), მ. ლონდაძე, სუხიაშვილი, სულაკაძე, ზაჭაპურიძე, ვაჩიბერაძე, ჭუმბურიძე.

**კახა ზალამბერიძე**

# ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ბარი თაუნი (უელსი) 0:1 **სკონტო (ლატვია)** (0:5)
0:1 კოლესნიჩენკო (51)
**პიუნიკი (სომხეთი)** 2:0 ტამპერე (ფინეთი) (4:0)
1:0 დიავარა (53), 2:0 კასტერნა (89)
**დინამო (ალბანეთი)** 0:0 კაუნასი (ლიტვა) (3:2)
შელბურნი (ირლანდია) 0:1 **ჰიბერნიანსი (მალტა)** (2:2)
0:1 შუკურიერე (90)
ჟენისი (ყაზახეთი) 3:2 **შერიფი (მოლდოვა)** (1:2)
1:0 ტლეკოუგოვი (32), 2:0 ლოგინვი (41), 3:0 კლიშინი (52), 3:1 ბორეტი (58), 3:2 ნესტერუკი (59)
**ვარდარი (მაკედონია)** 3:0 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) (1:1)
1:0, 2:0 სასაოვსკი (72, 75), 3:0 პეტკოვი (85)
აკრანესი (ისლანდია) 0:1 **ჟელეზნიჩარი (ბოსნია)** (0:3)
0:1 გრუდინი (33)
**აპოელი (კვიპროსი)** 1:0 ფლორა (ესტონეთი) (0:0)
1:0 გეორგიუ (61)
**ბელშინა (ბელარუსი)** 3:2 პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) (0:0)
1:0 სტრიპეიკისი (6), 2:0 კაროლიკი (22), 2:1 ჰამილტონი (39), 3:1 კაროლიკი (59), 3:2 არკინსი (74)

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. 31 ივლისი, 7 აგვისტო

სპარტა (ჩეხეთი) — ტორპედო (საქართველო)
დინამო (უკრაინა) — პიუნიკი (სომხეთი)
ბრიუგე (ბელგია) — დინამო (რუმინეთი)
ბოავიშტა (პორტუგალია) — ჰიბერნიანსი (მალტა)
შერიფი (მოლდოვა) — ბრაგერი (ავსტრია)
ბრონდბიუ (დანია) — დინამო (ალბანეთი)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ბელშინა (ბელარუსი)
ვარდარი (მაკედონია) — ლეგია (პოლონეთი)
ლილესტრიომი (ნორვეგია) — ჟელეზნიჩარი (ბოსნია)
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — ზაგრები (ხორვატია)
მარიბორი (სლოვენია) — აპოელი (კვიპროსი)
სკონტო (ლატვია) — ლევსკი (ბულგარეთი)
ჰამარბი (შვედეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)
ზილინა (სლოვაკეთი) — ბაზელი (შვეიცარია)

## ჩეხეთი

I ტური

სპარტა 1:0 ტეპლიცე

## ავსტრია

III ტური

აუსტრია 3:0 გრაცერი
პაშინგი 1:0 ზალცბურგი
შტურმი 2:0 რიდი
ადმირა 0:3 კარნტენი

## შვედეთი

XI ტური

იურგორდენი 1:1 ჰელსინგბორგი

## ფინეთი

გადადებული მატჩი

ლაჰტი 0:0 ჰაკა

## გერმანია

ლიგის თასი

ლევერკუზენი 1:0 ვერდერი

## 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

B ჯგუფი. II ტური

ინგლისი 1:1 ბელგია
ირლანდია 0:3 გერმანია

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ინდსაწარმო «არეალი»
თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით
ამზადებს ნებისმიერი სახის
საოფისე ავეჯს
სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს


მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის 97 (გეოლოგების მარაგი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01
ხელმისაწვდომი ფასები
გადახდის ნებისმიერი ფორმით


იყიდება უნიკალური წიგნები
ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა“ (1885) და „მზა-მეტყველება“ (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული“ (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელე დავით პეტრიაშვილმა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატია, ქალაქგარეთ შეიტყო და, რა თქმა უნდა, კმაყოფილიც დარჩა. სასამართლომ მისი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა — ვეტერანთა კავშირს ფედერაციის ყრილობისთვის მანდატების რაოდენობა დააკლო, გააუქმა აღმასკომის 14 წევრისა და სარევიზიო კომისიის ხმის უფლება და აღადგინა ბავშვთა ფეხბურთისთვის განკუთვნილი სამი მანდატი. თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებას ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ყურს არ უგდებს და ყრილობის უნინდელი სცენარით ჩატარებას გეგმავს. ეგ კი არა, ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის ცალკე ვეტერანებს, ცალკე აღმასკომის წევრებს უსაყვედურიათ, ვეტერანთათვის გამოყოფილი ხუთი მანდატი ცოტააო.

ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი დავით პეტრიაშვილი კი, რომელსაც თავის საარჩევნო შტაბში ვესტუმრეთ, ფედერაციასა და ამ საქმით სხვა დაინტერესებულთ ურჩევს, ემოციები დაიოკონ და კანონის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით იმოქმედონ

# პეტრიაშვილმა ზურგი მოიშიშვლა და მხარი გაიმაგრა



— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების პირველსავე მუხლში გარკვევით წერია, რომ ფედერაცია და მისი აღმასკომი პირველ ყოვლისა ემორჩილება ქვეყნის კონსტიტუციას, სამოქალაქო კოდექსს, კანონს სპორტის შესახებ და ფიფა-უეფას წესდებებს. სასამართლოში ჩვენი შეტანილი სარჩელი შორს არის ყოველგვარი სპორტული საკითხებისგან, რასაც ფედერაცია ამბობს. მათთან არც ფინანსური დავა გვაქვს და, აქედან გამომდინარე შეგვეძლო, რომ საქმე სასამართლოსთვის გასარჩევად მიგვეწოდებინა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ფედერაციაა და ვალდებულია, ქვეყნის კანონმდებლობას დაემორჩილოს. გარდა ამისა, ფიფას წესდების მე-12 მუხლში მკაფიოდ იკითხება, რომ არჩევნებისას აღმასკომის წევრებს ხმის უფლება არ უნდა ჰქონდეთ.

**— ვეტერანთა კავშირისთვის ერთი ხმა, ბავშვთა ფეხბურთისთვის კი — სამი, ცოტა არ იყოს, შეუსაბამოდ ხომ არ მიგაჩნიათ? ვეტერანები მეტ მანდატს არ იმსახურებენ?**

— რატომ ფიქრობთ, რომ ვეტერანებს ცოტა მანდატი აქვთ. მაინცდამაინც კავშირის წევრი უნდა იყოს დელეგატი? არჩევნებში მონაწილეობის უფლება ბევრ ვეტერან ფეხბურთელს აქვს. აი, ნახეთ — ვლადიმერ გუცაევი, ნუკრი კაკილაშვილი, ენუქი თევზაძე, სერგო კოტრიკაძე, გივი ნოდია ვეტერანები არ არიან, ისინი ფედერაციის სხვა სუბიექტებისგან არიან წარმოდგენილნი. გელა კეტაშვილს რაც შეეხება, გეტყვით, რომ როცა ხმებს ანაწილებდნენ, ის ვეტერანთა კავშირს მაშინ უნდა გახსენებოდა. მე ვეტერანებს დიდ პატივს ვცემ და ჩემს წინასაარჩევნო პროგრამაში მათი დახმარებისთვის გათვალისწინებული გეგმა საკმაოდ მოზრდილ ადგილს იკავებს.

ბავშვთა თითოეული საფეხბურთო სკოლა კი ფედერაციის ცალკე სუბიექტია. ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ათივე რეგიონიდან ბავშვთა ფეხბურთის კონფერენციაზე სამი დელეგატი უნდა ყოფილიყო წარგზავნილი. საბოლოოდ კი ფედერაციის ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელსაც 30 დელეგატიდან 27 დაესწრო, ყრილობისთვის სამი დელეგირებული ხმა განაწილდა. დღესდღეობით საქართველოში უამრავი საფეხბურთო სკოლაა, ერთად კი მათ სამიოდ ხმა აქვთ.

**— ფედერაციაში ამბობენ, პეტრიაშვილის სარჩელი სასამართლოს არ უნდა განეხილა...**

— რატომ არ უნდა განეხილა. ჩვენ ფედერაციას სპორტულ და ფინანსურ საკითხებში არ ვედავებოდით. ფიფას წესდებით კი გვქონდა საქმეში სასამართლოს ჩარევის უფლება. სხვათა შორის, პირველი სწორედ მერაბ ჟორდანია და მისი „დინამო" იყო „მრეტებს" ფინანსურ საკითხში რომ შეედავა — სამოქალაქო სასამართლოში იჩივლა და უეფასგან ფინანსურივე სასჯელი დაიმსახურა. ვიმეორებ, ჩვენი სარჩელი ფედერაციის წინააღმდეგ სპორტულ და ფინანსურ საკითხებს არ ითვალისწინებდა. ასე რომ ყოფილიყო, მესმის, ეს ფიფას წესდების დარღვევა იქნებოდა.

**— და ერთიც. პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გუშინ თქვენს ზურგს უკან მდგომნი დაასახელა — თარგამაძე, ჭყონია, გამყრელიძე, ჩხარტიშვილი, პატარკაციშვილი, ლორთქიფანიძე.**

— მე გვერდში მდგომნი მყავს და არა ზურგს უკან. ვინ არიან ისინი, მათგან ზოგმა უკვე საჯაროდ თქვა, ზოგიც იტყვის და თავის პოზიციას დააფიქსირებს.

**კობა ინასარიძე**

# ხელგაშლილმა დინამომ სხვისი ვალებიც დაფარა

**რესტორანში** მეზობელ მაგიდასთან მჯდომი ნაცნობ-მეგობრის დანახარჯს რომ გადაიხდი და ბარე ორ მაგიდასაც გასწვდები, სუფთა ქართული მოვლენაა და ჩვენში ასეთ დროს უკანდახევა არ სჩვევიათ, მაგრამ სულ სხვა, როცა ფხიზელ გონებაზე გვერდში მდგომთათვის ათასობით ლარს რომ იღებ ჯიბიდან... გუშინ თბილისის „დინამომ" ზესტაფონის „მეტალურგისა" და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ვალები დაფარა. გეხსომებათ, ზემოთხსენებული სამეული სფფ-მ 10-10 ათასი ლარით დააჯარიმა. სიტუაციის გათვალისწინებით, დინამოელთა ეს ნაბიჯი მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. სამეული კარსმომდგარმა სფფ-ის საპრეზიდენტო არჩევნებმა დააახლოვა და საყრილობოდ ეს ახლობლობა 20 ათას ლარზე ფასეულია. მოკლედ, ზესტაფონის „მეტალურგი" პირველ ლიგაში დატოვებას გადაურჩა და არც თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავკაც ავთანდილ კოკაიას ემუქრება ქართულ ფეხბურთში პერსონა ნონ გრატად გამოცხადება.

**ბაადა ძვანტალიანი**

# საზრიანი და ზუსტი

## ნიკოლ კიდმანმა გიორგი ნემსაძეს ქომაგები რუმინეთში ჩაუყვანა





**რუმინეთში** საწვრთნელ შეკრებაზეა გიორგი ნემსაძის „დანდი". შოტლანდიური კლუბის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ დაფმა დრო უქმად არ დაკარგა და „დანდი" ბალკანური შეკრების პარალელურად ასტორიის თასის ტურნირშიც ჩაება. ნემსაძემ და კომპანიამ სამი დღის მანძილზე ორი მატჩი გამართეს რუმინულ „რაპიდთან" და „ელექტროსთან".

ბუქარესტის „ჯილესტიზე" გამართულ მატჩს „რაპიდსა" და „დანდის" შორის 2500-მდე გულშემატკივარი ადევნებდა თვალს და მათი უმრავლესობა შოტლანდიელები იყვნენ. ნემსაძეს და მის თანაგუნდელებს მასპინძლებზე მეტი გულშემატკივარი ჰოლივუდის ვარსკვლავის ნიკოლ კიდმანის წყალობით ჰყავდათ. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკელები კიდმანის მონაწილეობით ფილმს იღებენ ბუქარესტის სიახლოვეს და მასობრივ სცენებში ჰოლივუდელის კაპრიზით შოტლანდიელები ყოფილან მიწვეულნი. ჰოდა, კუნძულელებიც „ჯილესტის" შეესივნენ თვისტომთა მხარდასაჭერად. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. „დანდი" ჭაბუკი ნოვოს ნაგვიანევმა საპასუხო გოლმა იხსნა მარცხისაგან. დებიუტანტმა ესპანელმა ნოვომ ლამაზი დრიბლინგის შემდეგ ჩაუყარა საფუძველი დანდურ გოლებს. სტუმრებმა მატჩის უმეტესი დრო მდევრის როლში გაატარეს, მალდარასანუმ მე-14 წუთზე დააწინაურა ბუქარესტელები. 3-4-3 ტაქტიკური სქემით მოთამაშე „დანდი" ბევრს ეცადა, თითოჯერ ნემსაძემ და ერნანდესმა გააცუდეს, მერე კი ქართველმა მილნი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ვერც მან ივარგა. მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე „დანდი" სულაც კაცნაკლული დარჩა — მსაჯმა 9 წუთის წინ შეცვლაზე შესული რობერტსონი გაუყენა გასახდელის გზას, იქვე დაფმა ნემსაძე მაკკეითი შეცვალა და „რაპიდმაც" შეტევებს მოუხშირა, თუმცა 83-ე წუთზე ნოვო გაიქცა და... ფრემ შეგირდთა მისამართით ტკბილ-ტკბილი სიტყვები ათქმევინა მწვრთნელს. დაფს ჩვენებურიც არ დავიწყნია, საზრიანობა და სიზუსტე შეუქო ნემსაძეს.

„დანდის" მეორე ბუქარესტული მატჩისას, როგორც ჩანს, კიდმანს გაგანია გადაღება ჰქონდა, ამიტომაც „რაპიდის" საბაზო გუნდ „ელექტროსთან" შეხვედრას სულ რაღაც 32 მოხეირე დაესწრო. შოტლანდიელებს ნოვოს სამეორეტაიმო გოლმა გაამარჯვებინა მინიმალური სხვაობით. ნემსაძემ 65 წუთი დაჰყო მოედანზე და სამჯერ დაუღეჭა ბურთი თანაგუნდელებს, მაგრამ ქართველის ჩინებული პასებით ორჯერ მილნმა და ერთხელ ჭაბუკმა რობმა ვერ ივარგეს. შეცვლამდე თავად ნემსაძეც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ მეკარესთან „სლალომით" გამძვრალმა ძელს გაარტყა ბურთი.

**ბაადა ძვანტალიანი**

# დედა, რა იყო ეს?!

## ფილიამ კოლხეთს ფეხბურთი არ ათამაშა

**ათოდ დღეა,** ფოთის „კოლხეთი" ბულგარულ ნესებრში ემზადება მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის. ბოლო წლებია, კოლხები წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებას სწორედ ბულგარეთში გადიან და გამონაკლისი არც წლეულს მომხდარა.

სოსო ფილიამ უცხოურ შეკრებაზე 20 ფეხბურთელი იახლა. კოლხთა თავკაცის თქმით, ბიჭები ნორმალურ პირობებში ემზადებიან: „ყველაფერი კარგადაა, თუ არ ჩავთვლით სიცხეს. თუმცა ამაზე წუწუნი არ ღირს. რაც მთავარია, კარგი პირობებია. მინდორიც ჩინებულია და კვებაც".

ბულგარეთში „კოლხეთმა" ორი საკონტროლო მატჩის ჩატარებაც მოასწრო, უფრო ზუსტად, ქართველებმა ერთი შეხვედრა სრულად ითამაშეს, მეორე კი...

თავიდან მივყვეთ: 17 ივლისს კოლხები ადგილობრივ „ნესებრს" გაეჯიბრნენ. შეხვედრა ქართველებმა 6:4 მოიგეს, ამ მატჩში განვითარებულ მოვლენებზე თავად სოსო ფილიას ნაამბობი უფრო საინტერესოა:

— „ნესებრთან" თამაში 90-წუთიანი კურიოზების კასკადი იყო. პირველ სამ წუთში უკვე 1:3 ვაგებდით. ეს ცოტა წარმოუდგენელიც კია, მაგრამ... ჯერაც არ ვიცი, ეს როგორ „მოვახერხეთ". საბოლოოდ პირველი ტაიმი 2:3 დავთმეთ და მეორე ნახევარში გარღატეხის შეტანასაც ვაპირებდით, მაგრამ ტაიმი ხეირიანად დაწყებული არც იყო, მეტოქემ კიდევ ერთი გოლი გაგვიტანა. ამ დროს ბევრი გუნდი გატყდებოდა, მაგრამ ბიჭებმა ძალა მოიკრიბეს და 6:4 გავიმარჯვეთ".

ამ უცნაურ შეხვედრაში კოლხთაგან ოთხი გოლი ახალწვეულებზეა. გიორგი გაბიდაურმა და ბორის გონჩაროვმა წყვილ-წყვილად გაიტანეს. ერთიც ფარმკლუბელმა მიხეილ გურგენაძემ შეაგდო, რომელმაც „კოლხეთში" პირველად ითამაშა, მეექვსე კი გიორგი კრასოვსკის ანგარიშზეა.

სოსო ფილიას მიერ კურიოზულად მონათლული მატჩის შემდეგ კი ფოთელები კინაღამ სკანდალში გაეხვნენ. სამიოდ დღეში ვარნას „სპარტაკთან" გაჯიბრებამ კოლხთა თავკაცს ლამის ფეხბურთი შეაზიზღა.

— ეს საშინელება იყო. „სპარტაკთან" 30 წუთი ვითამაშეთ, თუმცა ამას თამაში არ ჰქვია. უპირატესობა ჩვენი კი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას მასპინძლები ვერ შეეგუენ და ბიჭებს გამეტებით ურტყამდნენ კოჭებში. „სპარტაკი" ფეხბურთის თამაშის გარდა ყველაფერს აკეთებდა, ამიტომ მატჩი შევწყვიტეთ. აბა, ასეთ თამაშს რა აზრი ჰქონდა? წარმომიდგენია, მეტოქის კარში გოლი რომ გაგვეტანა, რა მოხდებოდა. კიდევ კარგი, ბიჭებმა სერიოზული ტრავმა არ მიიღეს. რამდენიმე ოდნავ კი დაშავდა, თუმცა დღეს ყველანი მწყობრში არიან" — აღშფოთება ვერ დამალა ჩვენთან საუბრისას ფილიამ.



სოსო ფილია

„კოლხეთს" კიდევ ორი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. ფოთელები ჯერ „დობრუჯას" გაეჯიბრებიან, ბოლოს კი კვლავ „ნესებრთან" მოსინჯავენ ძალას და იმავე დღეს სამშობლოშიც დაბრუნდებიან.

**ძახა შალამბერიძე**

# ამ ოჯახში უფროსი მე ვარ!

## სერგო კოტრიკაძის დიეტა: საქართველოს ნაკრები



*გია ჯიშკარიანის და სერგო კოტრიკაძის ძალისხმევამ რკინიგზელები მეცამეტე ეროვნულში კინაღამ აჩემპიონა. „ლოკომოტივს" ოქრომდე ქულაღა დააკლდა და მიღწეულიც დადებით შედეგად ჩაუთვალეს დუეტს.*

*ვერ გეტყვით, სინამდვილეში რას ფიქრობს კლუბის ხელმძღვანელობა, მაგრამ „ლოკომოტივში" ახალი თავკაცის დანიშვნაზე ჩემპიონატის დასრულებისთანავე ალაპარაკდნენ. დღეს რკინიგზელებს ერთი თავკაცი ჰყავთ, გუნდს კოტრიკაძე განვრთნის, ჯიშკარიანი ძველ პოსტზე, გუნდის უფროსად გადაიყვანეს, ხოლო საფეხბურთო წრეებში ისევ ვიცე-ჩემპიონთა მომავალი ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნაზე ლაპარაკობენ.*

*ახალი კაცი რკინიგზაში თუ გამოჩნდება, მას, ალბათ, მეთოთხმეტე ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ უნდა ველოდოთ, მანამდე „ლოკომოტივში" კოტრიკაძის ერაა. ბატონმა სერგომ დებიუტიც შესაშური მოიწყო, გუშინწინ მისმა შეგირდებმა ამხანაგურ მატჩში „მერანს" 6:0 მოუგეს*

**— რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის კლუბის ხელმძღვანელთა ბოლო გადაწყვეტილება?**

— მსგავს შემოთავაზებას ველოდიმეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი გამომივა. მე ისედაც ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი ვიყავი და სათქმელს გულში არც მანამდე ვიტოვებდი. კლუბის თავკაცების გადაწყვეტილება კი მართებული მგონია. მთავარი მწვრთნელი ერთი უნდა იყოს. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ის ერთი მე ვიქნებოდი თუ გია ჯიშკარიანი. ოჯახს ერთი უფროსი უნდა ჰყავდეს. დღეს მე მენდო ხელმძღვანელობა, ხვალ კი— თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ „ლოკომოტივის" სამწვრთნელო ბანაკში თითქმის არაფერი შეიცვლება, ჩვენ ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებებს და ჭირვარამსაც ერთად გავიზიარებთ.

**— „ლოკომოტივი" ამბიციური კლუბია. აქამდე ორნი ინაწილებდით პასუხისმგებლობას, დღეიდან კი ხელმძღვანელები მაინც თქვენ მოგთხოვენ პასუხს. აქედან გამომდინარე, რა შედეგს ელიან სერგო კოტრიკაძის გუნდისგან?**

— ჩემს გუნდში სადღეისოდ არც ერთი ფეხბურთელი არ არის „ბებერი". მათ თამაში შეუძლიათ, მაგრამ კლუბის თავკაცთა მიზანია, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა მოვიზიდოთ და ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ. ეს პროცესი როგორ შედეგს მოგვცემს, გზადაგზა, ჩემპიონატის მსვლელობისას გამოჩნდება.

**— რამდენიმე დღეა, ბულგარული შეკრებიდან დაბრუნდით. როგორ შეაფასებდით იქ გატარებულ 17 დღეს?**

— ტრიავნაში ჩინებული პირობები გვქონდა და კარგადაც მოვემზადეთ. ამ მხრივ მართლაც კმაყოფილები დავრჩით, მაგრამ უფრო უკეთესი ის იქნებოდა, კიდევ რამდენიმე საკონტროლო მატჩი გვეთამაშა. ოთხივე მეტოქე ბულგარეთის მეორე დივიზიონიდან გვერგო, არადა, საქმისთვის გაცილებით ძლიერ კლუბებთან მეტოქეობა აჯობებდა.

**— ესე იგი, „ლოკომოტივის" მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?**

— ნახევარდაცვა-თავდასხმასთან არაფერი მაქვს სასაყვედურო. დაცვაში კი ბევრი რამ იქნება დასახვეწი. ოთხ მატჩში გაშვებული ხუთი გოლი დამაფიქრებელია. კი შეგვიძლია, თავი იმით ვინუგეშოთ, რომ ცენტრალური მცველი ლაშა სალუქვაძე ტრავმირებული იყო და საუკეთესო ფორმას ახლაღა უახლოვდება, მაგრამ უკანა ხაზში ბევრი რამ მაინც შესაცვლელია.

**— შეკრების შემდეგ განსაკუთრებით რომელ ფეხბურთელებს ემადლიერებით?**

— თითქმის ყველას. ბიჭებმა კეთილსინდისიერად იშრომეს. იმათაც, რომ მეგონა, იზარმაცებდნენ. გამაკვირვა ზაზა ჯანაშიამ. ის საერთოდ დადებითი პიროვნებაა, ღმერთმა საფეხბურთო ნიჭიც არ დააკლო. ბულგარეთში მოახერხა რამდენიმე ზედმეტი კილოგრამის მოშორება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ცალკე ვისაუბრეთ კიდეც. რასაც ვფიქრობდი, პირდაპირ ვუთხარი და ძალიან გამიხარდა, მისგანაც დადებითი პასუხი რომ მივიღე.

ზაზას ნაკრებში დაბრუნება ამოუჭრია გულში. თუ კიდევ ხუთიოდე კილოგრამს დაიკლებს, დარწმუნებული ვარ, ევროპის ერთ-ერთ სოლიდურ გუნდშიც ითამაშებს.

კახა გოგიჩაიშვილს ვეტერანი ეთქმის, მაგრამ მოედანზე მოძრაობაში არავის ჩამოუვარდება და „ლოკომოტივისთვისაც" ერთობ სასარგებლო მოთამაშეა. ასევე მინდა, ქების სიტყვები ვთქვა ახალწვეულ ბურნაძესა და გოგინაშვილზეც.

**— თქვენი აზრით, „ლოკომოტივი" ამ დროისთვის საბოლოოდ დაკომპლექტდა თუ გარკვეული ცვლილებები კიდევაა მოსალოდნელი?**

— ძლიერი მოთამაშეების დამატებაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდით. განსაკუთრებით დაცვის გაძლიერება იქნებოდა უპრიანი, თუმცა უამისოდაც შეიძლება ფონს გასვლა. იმასაც არ გამოვრიცხავ, ვინმე გავანათხოვროთ. თავდასხმაში დიდი კონკურენციაა, ამიტომ სკამზე ჯდომას სხვა გუნდში სათამაშო პრაქტიკის მიღება სჯობს. მაგალითად, მერაბ ძოძუაშვილი ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ტრავმამ გააწვალა და დიდი დრო გააცდენინა. ახლა „ლოკომოტივის" ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდება, ამიტომ დროებით სხვაგან თამაში ჯობია. ძირითად ბირთვს კი ცვლილებები არ შეეხება.



კახა გოგიჩაიშვილი

**— ბულგარულ შეკრებაზე „ლოკომოტივს" მამუკა რუსია არ ახლდა. დღეს ის გუნდშია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსია ისევ რკინიგზელია?**

— მამუკასთან დაკავშირებით მცირე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ უკვე ყველაფერმა ჩაიარა. როგორც მითხრეს, მან თბილისში მონდომებით ივარჯიშა, ახლაც თავდაუზოგავია. მისი ბედი მის ხელთაა, იქნება მზად, ითამაშებს კიდეც. რკინიგზელი რომ გახლავთ, ეს საკამათო არ უნდა იყოს.

**— „ლოკომოტივის" სამწვრთნელო ბანაკზე რას გვეტყვით?**

— არაფერს, კარგის გარდა. მე, ჯიშკარიანი, სვანაძე და ჩხაიძე განუყოფელ გუნდად ვრჩებით. ჩვენში არაფერი იქნება გაურკვეველი, ერთმანეთს მხარში დავუდგებით და, ალბათ, მიზანსაც მივაღწევთ. გია ჯიშკარიანი „ლოკომოტივიდან" ხომ არ წასულა, გუნდის უფროსია და სათქმელსაც დაუფარავად იტყვის. თემურ ჩხაიძე პირდაპირი და ფუტკარივით მშრომელი კაცია. ზაურ სვანაძეს შესაშური საფეხბურთო კარიერა ჰქონდა, მწვრთნელობაში გამოცდილია, ულალატო და ერთგული პიროვნებაა. მისი გარეგა „ლოკომოტივს" ძალიან წაადგება. მოკლედ, არანაირი პრობლემა, ყველანი შედეგისთვის ვიმუშავებთ.

**— უეფას თასზე „კოპენჰაგენთან" პირველ მატჩამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. მეტოქეზე რამე სიახლე თუ შეიტყვეთ, მეორედაც დაგვჩაგრავენ დანიელები ქართველებს?**

— სიახლის რა მოგახსენოთ. დანიელები თავიანთი თამაშის ვიდეოფირს კი შეგვპირდნენ, მაგრამ რომც გამოგვიგზავნონ, არ მგონია, ჩვენთვის რაიმე ხელჩასაჭიდი აღმოვაჩინოთ. მე ასე მწამს, „ლოკომოტივმა" საკუთარი თამაში კი არ უნდა მიუსადაგოს მეტოქისას, არამედ, მეტოქემ იმტვრიოს თავი ჩვენს დადებით და ნაკლოვან მხარეებზე.

ვიცით, „კოპენჰაგენი" ძლიერი გუნდია, მაგრამ შიშზე და მუხლების კანკალზე ზედმეტია ლაპარაკი. ვიცი, ჩემი ფეხბურთელების განწყობა და მიხარია, ისინიც რომ ასე ფიქრობენ. „ლოკომოტივი" მატჩს თამაშამდე არ წააგებს. ჩვენ ვიბრძოლებთ და ორმატჩიანი დუელის შემდეგ თუ უეფას თასის წლევანდელ გათამაშებას ხელს დავუქნევთ, ამისგან ტრაგედიას ნუ შევქმნით.

**მამუკა ძგანტალიანი**



ზაზა ჯანაშია


რესტორანი მზიანი დამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით




„ბარსელონას" ქომაგები: რივალდოს გარეშე პოკერი არ ითამაშება

# რივალდომობანა

## თქვი, რას აპირებ?

**სად არის** რივალდო? ტექნიკური მიზეზებით გათავისუფლებული კაცი ხომ არ გინახავთ? მისი მოძებნა არ არის ძნელი. გაცილებით რთულია მისთვის ხელფასის გადახდა. რივალდოს უფასოდ ხელში ჩამგდებ კლუბს, სრულიად ფანტასტიკური ჯამაგირის დანიშვნა მოუწევს. და რამდენი კლუბია დღეს ევროპაში, რომელიც ბრაზილიელს გასწვდება? შარშან ბევრად მეტი იქნებოდა, ახლა კი შეიძლება ცალი ხელის თითებზე ჩამოვთვალოთ.

ერთი უკვე აწრიალდა — ეს „მილანი" გახლავთ. „შავ-წითლების" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ „ზევით", სილვიო ბერლუსკონისთან დარეკა, შენს შეძახილს ველოდებიო. ბერლუსკონის უთქვამს, განმგებელი შენ ხარ, თავისუფლად იმოქმედეო. ადრიანო გალიანი მთლად თავისუფლადაც ვერ მოქმედებს, რადგან იგი იმავდროულად საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტიცაა. ახალ თანამდებობაზე დანიშნულს საქმეები თავზესაყრელი აქვს. ახლა კი რივალდოც დაემატა. მოკლედ, „ზევიდან" თანხმობა გაცემულია და ყველაფერი გალიანის მარიფათზეა დამოკიდებული.

ცნობა იმის თაობაზეც გაჩნდა, რომ რივალდოსა და რობერტო კარლოსს შორის სატელეფონო საუბარი შემდგარა. რივალდოს მადრიდელისთვის უთქვამს: მე ახლა თავისუფალი ვარ, ვალდანოს გადაეცი, დამიკავშირდესო. მოგვიანებით ხორხე ვალდანომ ტელეინტერვიუში ბრძანა, ეგ კაცი ჩვენს გეგმებში არ შედისო.

ექსბარსელონელი ლაციოელ სერჯო კრანიოტისაც გაახსენდა იტალიელს მენდიეტას რივალდოზე გაცვლა ჰქონდა გეგმაში, მენდიეტა „ბარსელონაში" უკვე გაანათხოვრა, ბრაზილიელი კი უქმად არის. რა უდგას წინ რივალდოს რომში გადასვლას? საქმე ისაა, რომ სერჯო კრანიოტის რივალდოს გაგონებაზე თავისი ფინანსური კრიზისიც გაახსენდა და ამიტომაც ვერ აქტიურობს.

არის კიდევ ორი კლუბი, რომლებსაც ბრაზილიელზე საუბრისას მოიხსენებენ — „მანჩესტერი" და „ნიუკასლი". საყოველთაო სიდუხჭირის პერიოდში მანჩესტერელებმა 29 მილიონი გირვანქა გაისროლეს რიო ფერდინანდში და თქვეს, საკმარისიაო. „ნიუკასლს" ფული აკლია, სამაგიეროდ, საყოველთაოდ ცნობილია ბობი რობსონის რივალდოსადმი სიმპათია. რობსონს არაერთხელ უნატრია ბრაზილიელი თავის გუნდში. ახლა შანსი აქვს, ოცნება რეალობად აქციოს.

**გაგა ხუციშვილი**

### ბიჭებს დამიძახე, ბიჭებს!

აი, სურათზე ორ ვაჟკაცს რომ ხედავთ, ერთად 122 მილიონი დოლარი ღირს, უფრო სწორად, შარშან, ფეხბურთელთა გაუფასურებამდე ღირდნენ. თუმცა ახლა ეს არ გვაინტერესებს.

ზაფხულია. ყველას ზღვაში ფეხის ჩაჭყაპუნება სწყურია. ზინედინ ზიდანი სადღაც ლაჟვარდოვან სანაპიროზე მზეს უნდა ეფიცხებოდეს, სევდამორეული ლუიშ ფიგუ კი სამშობლოში თვალს წყალს დაალევინებდა, მაგრამ...

ფლორენტინო პერესს ყველაფრის მოგება სურს. საამისოდ მზადება და ვარჯიშია საჭირო. ბიჭებს დამიძახე, ბიჭებსო, უთქვამს პერესს დონ ვისენტე მადრიდელისთვის. პრიმერადივიზიონის დაწყებამდე თვეზე ოდნავ მეტია დარჩენილი. პრიმერაულვაშის მქონე დელ ბოსკესაც ჩემოდანი ჩაულაგებია და ამალისთვისაც იგივე დაუვალებია.

„სამეფო კლუბი" თვითმფრინავს მოახტა და აგერ, ავსტრიის სამხრეთ პროვინცია სტირიაში, ქალაქ გრაცში დაეშვა. ეს ვინ მოსულაო, ხელი ხელს შემოჰკრეს ავსტრიელმა ფანებმა. კალამ-ფურცელი მოიძიეს, 122 მილიონს ასე იოლად ვერ გავუშვებთო. მოუხელთებიათ პირმცინარი ზიდანი, ვისაც ავტოგრაფი დაუზარელად დაურიგებია.

სევდამორეულზე კი რა მოგახსენოთ... ავტოგრაფს იძლევა, მაგრამ თავში ეგებ, ერთი ბრაზილიელის სახელი და მისი მომავალი უტრიალებს. ფიგუ და ის ბრაზილიელი ოდესღაც „ბარსელონაში", ჰოი, რა საქმეებს ატრიალებდნენ, გახსოვთ?






# პრიმერადივიზიონი ტელევიზორით გაშიშვლდა

## „თუ გინდა, რომ იყიდო ის, ვინც გჭირდება, გაყიდე ის, ვინც არ გჭირდება"

**პრიმერადივიზიონის** ახალი სეზონის დაწყებამდე თვეზე ოდნავ მეტი რჩება. ფეხბურთელები შვებულებიდან ბრუნდებიან და ნელ-ნელა ვარჯიშს იწყებენ. ამ ზაფხულს თვალისმომჭრელი ტრანსფერები არ შემდგარა, მიზეზი კი საყოველთაოდ ცნობილია — უფულობა.

შარშან ზინედინ ზიდანის სანაცვლოდ ტურინის „იუვენტუსს" მადრიდის „რეალმა" 64 მილიონი დოლარი ჩაუთვალა. წლეულს კი ესპანეთში ყველაზე ძვირად (ჯერჯერობით) პორტუგალიელი ჟორჟე ანდრადე დაფასდა. „დეპორტივომ" მის შესაძენად 12 მილიონი ევრო გაიღო. სიძვირის მიხედვით მეორე რობერტო აკუნია გახლავთ. იმავე „დეპორტივომ" „სარაგოსას" პარაგვაელში 11 მილიონი ევრო გადაუხადა. მესამე — „ბარსელონას" ახალწვეული ხუან რომან რიკელმე კატალონიელებს 10 მილიონი დაუჯდათ.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი ფეხბურთელის ფასი და მთლიანად ესპანური კლუბების მიერ ახალ ფეხბურთელებზე დახარჯული თანხა რომ შევაჯამოთ, ზიდანის მილიონებს მაინც ვერ შესწვდება.

თვით მადრიდის „რეალის" გაქსუებული ქისაც კი თავს იკავებს ხარჯებისგან. პირიქით, შევსებას ელის ისეთი მოთამაშეების გაყიდვისგან, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან. მაგალითად, „რეალი" სავიოს და მუნიტისის გასხვისებას აპირებს, ფლავიო კონსეისაოსა და ჯერემი ნჯიტაპს კი უკვე ხელი დაუქნია.

ის დრო წავიდა, როცა კლუბთა მესვეურები ბლუჯა-ბლუჯა ფეხბურთელებს ყიდულობდნენ, თანხის უდიდესი ნაწილი კი ტელეკომპანიებიდან მოდიოდა, რომლებიც მატჩების ტრანსლაციის უფლებებს ფლობდნენ. 90-იანი წლების დასაწყისიდან კლუბთა შემოსავლის მთავარი წყარო სწორედ ტელევიზია გახდა. მართალია, პრიმერადივიზიონისთვის მილიარდი დოლარი არავის გადაუხდია (როგორც ეს ინგლისში მოხდა), მაგრამ ფული პრიმერელთა ჯიბეებში მაინც მიედინებოდა, იქიდან კი მოთამაშეების შესაძენად გაედინებოდა.

აი, ორი მაგალითი. თავის დროზე „რეალის" ულხსლმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა აიტეხა, ბოსნიელი ელვირ ბალიჩი გვჭირდებაო. ბატონი ბრძანდებითო და, ბალიჩი მადრიდში ჩავიდა. ბოსნიელს ჯამაგირად წელიწადში ერთი მილიონი დაუნიშნეს, თუმც ფეხბურთი ეგრეც ვერ ითამაშა. მერე თანაქალაქელ „რაიო ვალეკანოს" მიათხოვეს. იქაც ვერ მოეწყო და ახლა სტამბოლის „გალათასარაიში" გააგზავნეს. ბალიჩს „რეალთან" მოქმედი კონტრაქტი ჯერაც აქვს, მაგრამ „სამეფო კლუბს" მისი შენახვა ძვირი რომ არ დაუჯდეს, ამიტომაც აგზავნის სხვა გუნდებში, სადაც ბოსნიელი ხელფასს იღებს, „რეალი" კი მისი ჯამაგირისგან თავისუფლდება.

მეორე მაგალითი „ვილიარეალია". კლუბმა არგენტინელ მარტინ პალერმოში 9 მილიონი დოლარი გადაიხადა. თან, ფეხბურთელის უფრო ძვირად გაყიდვის შემთხვევაში, პალერმოს ძველი კლუბის, „ბოკა ხუნიორსს" მოგების ნახევარი უნდა მიართვას. ერთ მატჩში სამი პენალტის (კოლუმბიასთან კოპა ამერიკაზე) ვერგამტანმა არგენტინელმა, შუა სეზონში, უწყინარ ვითარებაში ფეხი მოიტეხა. შედეგად „ვილიარეალი" კინაღამ მეორე დივიზიონში გავარდა, 9 მილიონი ძლივს გადაურჩა.

საინტერესო ციფრებია: 1993-94 წლებში ახალი ფეხბურთელების შეძენაზე ესპანურმა გუნდებმა დაახლოებით 123 მილიონი დოლარი დახარჯეს, 5 წლის შემდეგ 7-ჯერ მეტი. ცხადია, ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა, ამიტომაც კლუბებმა იძულებითი შესვენება აიღეს.

ბარსელონის „ესპანიოლის" პრეზიდენტმა დანიელ სანჩეს ლიბრემ ჯერ კიდევ თებერვალში თქვა: „ჩემს კოლეგებს რატომღაც ჰგონიათ, რომ მათ განუსაზღვრელი ფინანსური რესურსები გააჩნიათ. აი, სწორედ ასეთმა თავდაჯერებულობამ გამოიწვია გადახარჯვა, რამაც შეიძლება, ღრმა კრიზისამდე მიგვიყვანოს."

კრიზისი მართლაც მოსალოდნელია, რადგან ყველაფერი კარგი ადრე თუ გვიან მთავრდება. ამჟამად ესპანეთის პროფესიულ საფეხბურთო ლიგას კონტრაქტი აქვს სატელევიზიო კორპორაცია „სპორტ აუდიოვიზუალთან". კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს მთავრდება. მანამდე პრიმერელები კორპორაციისგან კუთვნილ 228 მილიონ ევროს მიიღებენ, მომავალი კი ერთობ ბუნდოვანია. საქმე ისაა, რომ ესპანური კლუბების ბიუჯეტის ნახევარზე მეტს ტელეტრანსლაციებიდან შესული თანხა ავსებს. თუ ტელეკორპორაცია კონტრაქტს არ გააგრძელებს, ფულიც გაქრება. აი, მაშინ არიან ცოდონი ესპანელები.

ამისკვალობაზე პირინეის ნახევარკუნძულზე ახალი ლოზუნგი იშვა: „თუ გინდა, რომ იყიდო ის, ვინც გჭირდება, გაყიდე ის, ვინც არ გჭირდება".

ესპანეთი ფრთხილობს და მოვლენების განვითარებას ელოდება. ახლა პრიმერადივიზიონში დაახლოებით 100 ფეხბურთელია თავისუფალი აგენტის სტატუსით. მართალია, მათ შესაძენად კლუბებს კაპიკიც არ დასჭირდებათ, მაგრამ ხელფასი ხომ უნდა მისცენ, ფული კი ძველებურად აღარ ჩხრიალებს.

თუნდაც ისმაელ ურსაისის ამბავი გავიხსენოთ. ბასკი ფეხბურთელი „ატლეტიკთან" კონტრაქტის გასრულებას ელოდა, უკეთეს გუნდში გადაბარგების მიზნით. გათავისუფლდა კიდეც მაგრამ რა, არავინ შეეხმიანა. ამიტომაც იძულებული გახდა, ისევ ბილბაოში დარჩენილიყო.

ესპანური კლუბების პრეზიდენტებმა დამწვრის სუნი იყნოსეს და მადრიდში საგანგებოდ შეიკრიბნენ. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა — ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვა. შეკრებას ოცივე კლუბის პრეზიდენტი ესწრებოდა. საკუთარი პერსონით თვით ფლორენტინო პერესი და ხუან გასპარიც გამოცხადდნენ. მათ, ცხადია, სხვებზე ნაკლები პრობლემები აქვთ. „ბარსელონამ" და „რეალმა" თავიანთი მატჩების ტრანსლაციის უფლება უკვე მიჰყიდეს SOGECABLE-ს და VIA DIGITAL-ს. ამის გამგონე დანარჩენებმა, როგორც „ბარსელონას" და „რეალის" პოტენციურმა სტუმრებმა, კონტრაქტში თავიანთი უფლების გათვალისწინება მოითხოვეს — ანუ წილი გრანდების ტელეშემოსავლიდან, რაზეც პერესმა და გასპარმა მთხოვნელებს ცივი უარი სტკიცეს. საბოლოოდ შეთანხმდნენ იმაზე, რომ დანარჩენები „ბარსას" და „რეალის" ფინანსებში ცხვირს არ ჩაყოფენ, ხოლო ეს ორი გრანდი მათ მხარდაჭერას შეჰპირდა.

მოკლედ, ოცივე კლუბის წარმომადგენელი „სპორტ აუდიოვიზუალთან" მოსალაპარაკებლად ერთად მოუხდება მაგიდას, რათა ტელეკორპორაცია დაარწმუნოს სამომავლოდ დაფინანსების საჭიროებაში. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ პრიმერელებს კვლავ გაუჩნდებათ ფული ძვირფასი ფეხბურთელების ხელში ჩასაგდებად.

**გაგა ხუციშვილი**



ჟაკ სანტინი ახალ ცხოვრებას ძველი ფეხბურთელებით იწყებს

# ძველი ბიჭების იმედით

**საფრანგეთის ნაკრების** ახალმა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ განაცხადა, ევრო 2004-ის კამპანიაში მონაწილეობას მოთამაშეთა ის ჯგუფი მიიღებს, რომელმაც ქვეყანას 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონის, ხოლო 2000 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

„ყველაფრის შეცვლას რა აზრი აქვს? ნუთუ ვინმეს შეუძლია დამისახელოს ვარსკვლავი, რომელსაც ჩავარდნა არასდროს ჰქონია?" — თქვა სანტინიმ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლთან" ინტერვიუში.

შემდეგ სანტინიმ დასძინა: „იმ მოთამაშეთა უმეტესობა, რომლებიც ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში იბრძოლებენ, წინა შეჯიბრებებში გამოცდილი იქნებიან."

50 წლის სანტინი, რომელიც წინა პარასკევს როჟე ლემერის თანამდებობაზე დანიშნეს, ფეხბურთელების რეაქციითაც კმაყოფილია:

„მათ მაჩვენეს, რომ ახალი ცხოვრებისთვის მზად არიან. ამასთან, ისინი ალიარებენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი ფიასკო მათი ბრალიციაა."

„ფრანს ფუტბოლის" ინტერვიუსთან ერთად, ფრანგ მკითხველს სანტინის მოსაზრებების გაცნობა „ლე მონდის" ფურცლებიდანაც შეეძლო, სადაც ახალმა მწვრთნელმა ბრძანა, იური ჯორკაეფმა და ფრანკ ლებეფმა სანაკრებო კარიერა არ უნდა დაასრულონო. სანტინიმ ლორან ბლანი გაიხსენა, რომელიც ლურჯი ფორმის გახდას ჯერ კიდევ 1994 წელს აპირებდა, მაგრამ გადაათქმევინეს და ოთხი წლის მერე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

„ბლანის მაგალითი არ მავიწყდება. მას ნაკრებში დარჩენა ემე ჟაკემ აიძულა და ყველამ კარგად ვიცით, მერე რაც მოხდა."

თუმცა, სანტინი დასძენს, ჩემთვის მოთამაშეთა ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, ასე რომ, თითოეულმა ფეხბურთელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არა საფრანგეთის ეროვნული გუნდის წევრობაო.

„მე მათ მოვუსმენ. გარდა ამისა, ნებისმიერს თვალყურს მივადევნებ, შევამოწმებ კლუბში როგორ თამაშობს. ჩემთვის კაპიტნის ან რომელიმე წამყვანი ფეხბურთელის დაფრენა პრობლემა არასდროს ყოფილა."

ისევ „ფრანს ფუტბოლის" ინტერვიუს დავუბრუნდეთ:

„ჩემთვის უძნელესი დროება ახლა იწყება. ამოცანა მკაფიოა — საფრანგეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაში უნდა დავეხმარო. ამ საქმის წარმატება თუ წარუმატებლობა ჩემი კონტრაქტის ხანგრძლივობას განაპირობებს."

**ბაჩუნა ძიძია**

# რა მოუვიდა მარატს?

## რუსეთი

### XVI ტური

**ლოკომოტივი 0:0 ანჟი**

ანჟი: არმიშევი, გორდეევი, სტოიკოვიჩი, აქსენოვი, ბაბიჩი, ტკალაროვი (დმიტრიევი 74), მენვანაძე, ხოშიჩი (რამაზანოვი 46), პრუდიუსი, საველიევი (ტიგერი 86), ბუდუნოვი
გაფრთხილება: ვუჩიჩევიჩი, პრუდიუსი, ხოშიჩი, ბუდუნოვი, აქსენოვი, არმიშევი

**როსტსელმაში 0:1 ტორპედო**

0:1 ბუჟინსკალი (62)
ტორპედო: ყორობოვი, მილაი, ილიოვიჩი, ლუთშენკო, ლუხვიჩი, სარქისიანი (სამბაია 79), ბუჟინსკალი, ჯოლკოვი (კუზმიჩევი 67), სემშოვი, ბუდილინი (ზინოვიოვი 86), ლებედენკო
გაფრთხილება: კარპოვიჩი, კუპრიანოვი, დაცენკო, ბუჟინსკალი, სარქისიანი

**ალანია 1:0 ზენიტი**

1:0 აშვეთია (45)
ალანია: გაბულოვი, ფეტიევი, პიგაევი, სკიდენკო, თეთრაძე, დ. ბაზაევი, გ. ბაზაევი, კუსოვი, ბესტაევი, დერბოვრაძე, აშვეთია

**სატურნი 2:1 სოკოლი**

1:0 მელიოშინი (22), 1:1 კარეფი (46), 2:1 მოვსესიანი (90)

**შინიკი 1:1 ცსკა**

0:1 გუსევი (31), 1:1 სკოკოვი (73)

**კრილია 1:0 როტორი**

1:0 კორიაკო (45)

**სპარტაკი 2:1 ზილ**

1:0 კუდრიაშოვი (48), 1:1 შერსტნიოვი (69), 2:1 კუდრიაშოვი (72)

**ურალანი 1:3 დინამო**

0:1 პანოვი (25), 1:1 სენკო (50), 1:2 გრიშინი (65), 1:3 ხაზოვი (90)

**მეორე წრის** პირველივე ტურში ლიდერებმა ისევ დაკარგეს ქულები. „ლოკომოტივმა" „ანჟის" ვერ მოუგო, ცსკა-მ „შინიკს".

რკინიგზელებს რაღაც უხეიროდ დაებედათ ახალაშენებული სტადიონი. უკვე მესამე მატჩი გამართეს ამ სარბიელზე და ჯერ გოლიც ვერ გაუტანიათ. „ანჟიმ" კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იური სიომინის გუნდისთვის უხერხული მეტოქეა.

მასპინძლებმა ვერაფრით დააწყვეს თამაში. მათი ჭაბუკი პლეიმეიკერი მარატ იზმაილოვიც ბოლო დროს საკუთარ თავს აღარ ჰგავს. აი, „ანჟისთანაც" ან უმისამართო პასები გამოსდიოდა, ანაც ბურთს უკან, მცველებს უგორებდა. 35-ე წუთზე კი თავის პერსონალურ მეურვე ხოშიჩს დაეჯახა და მინდორზე მოცელილივით დაეცა. რკინიგზელთა ხელმძღვანელებს გულები გადაუქანდათ, ეგონათ, ფეხი მოიტეხაო, თუმცა მათდა საბედნიეროდ, ტრავმა გაცილებით მსუბუქი აღმოჩნდა, გუნდის ექიმ საველი მიშალოვის თქმით, იზმაილოვი რამდენიმე დღეს იმკურნალებს და კვირას ცსკა-სთან მატჩისთვის მზად იქნება.

მოკლედ, „ლოკომოტივი" უტევდა და ვერც უტევდა, რამდენიმე სახიფათო გამოხტომის შედეგი არ მოჰყოლია. ერთ ეპიზოდში იგნაშევიჩის ძლიერ დარტყმულს ჩვენი კახა მჟავანაძე გადაეფარა და ცოტა ხნით ნოკდაუნშიც აღმოჩნდა.

სტუმრებს მოგებაც შეეძლოთ, ბოლოსწინა წუთზე მახაჩყალელებს სწრაფი კონტრშეტევა გამოუვიდათ, ბრაზილიელმა ვილერმა ბუდუნოვი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ბუდუნოვმა ოვჩინიკოვიც მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში ვეღარ გაიტანა.

ცსკა იაროსლავლში კარგა ხანს უგებდა „შინიკს", თუმცა არმიელთა გოლს მასპინძელთა უშედეგო პროტესტიც დაერთო. საქმე ის იყო, რომ გუსევმა სადღაც 30 მეტრიდან საჯარიმო მაშინ დაარტყა, როცა მსაჯს ჯერაც არ ჩაესტვინა, ხოლო შინიკელები კედელს აყენებდნენ...

მასპინძლებმა დამთავრებამდე ჩვიდმეტი წუთით ადრე გაათანაბრეს და მერე თამაში ძალიან დაიძაბა. ერთ ეპიზოდში არმიელები ფუზაილოვს ძალიან უხეშად მოეპყრნენ, მაგრამ მსაჯმა ამას ყურადღება არ მიაქცია და ტრიბუნებიდანაც კარგა ხანს ისმოდა სამსართულიანები. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ მინდორზე მავანი ქომაგი შეიჭრა, თუმცა მილიციელებმა ის მაშინვე დაიჭირეს, ტრიბუნიდან ნასროლი ცარიელი ბოთლი კი საბედნიეროდ მსაჯს ასცდა...

აი, ასეთი ამბები იყო იაროსლავლში, „ლოკომოტივთან" ბაქი-ბუქობისთვის დასჯილი მოსკოველთა მწვრთნელი ვალერი გაზაევი კი თამაშს კლუბის პრეზიდენტ ევგენი გინერთან ერთად ტრიბუნიდან უცქერდა.

ქართული გოლის გარეშე არც არ ტურმა ჩაიარა, მიხეილ აშვეთიამ მეოთხე ალანური გოლი გაიტანა, რითაც ვლადიკავკაზელებს „ზენიტისთვის" სამი ქულა აართმევინა.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 17 | 10 | 6 | 1 | 24:8 | 36 |
| ცსკა | 15 | 10 | 3 | 2 | 28:12 | 33 |
| სპარტაკი | 17 | 10 | 3 | 4 | 31:23 | 33 |
| სატურნი | 16 | 8 | 4 | 4 | 22:19 | 28 |
| კრილია | 16 | 8 | 3 | 5 | 20:17 | 27 |
| დინამო | 16 | 8 | 1 | 7 | 21:15 | 25 |
| როტორი | 16 | 7 | 3 | 6 | 15:14 | 24 |
| შინიკი | 17 | 6 | 5 | 6 | 26:24 | 23 |
| ზენიტი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:21 | 22 |
| ურალანი | 17 | 3 | 9 | 5 | 23:25 | 18 |
| ტორპედო | 16 | 4 | 5 | 7 | 19:19 | 17 |
| ანჟი | 16 | 3 | 8 | 5 | 14:24 | 17 |
| ალანია | 16 | 4 | 3 | 9 | 21:27 | 15 |
| ზილ | 16 | 3 | 5 | 8 | 13:26 | 14 |
| როსტსელმაში | 15 | 3 | 3 | 9 | 14:28 | 12 |
| სოკოლი | 16 | 1 | 5 | 10 | 8:19 | 8 |





ლიგამ ფრანკო სენსი და სერჯო კრანიოტი განარისხა

# ფული არ არის, ფაქსი არ მუშაობს... იტალია რომის გარეშე?

**„რომამ"** და „ლაციომ" ფინანსური საკითხები ექვს დღეში თუ ვერ მოაგვარეს, სერია A-ს მოახლოებულ ჩემპიონატში (პირველ სექტემბერს იწყება) ვერ ითამაშებენ. 29 ივლისამდე აქვთ ვადა სერია B-ს გუნდებს — „ფიორენტინას", „ჯენოას", „მესინას", „ნაპოლის", „პალერმოს" და „ვერონას". ბუნებრივია, შარში სერია C-ს გუნდებიც გახლავან გახვეულნი, ოღონდ მათ ჩამოთვლას აქ აზრი არ აქვს, ისინი თხუთმეტნი არიან. ყველა მათგანს, ჯერჯერობით, რეგისტრაციაზე უარი უთხრეს.

უარი, რომელიც ერთობ სენსაციურად ჟღერს, იტალიური ლიგის ფინანსური საქმეების გამგებლის, ფირმა „კოვისოკისგან" მოდის, თუმცა ხსენებულ კლუბებს ორ დღეში „კოვისოკის" გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ.

ყველაფერი კი იტალიურ ფეხბურთში შექმნილი ფინანსური კრიზისიდან მოდის. მოთამაშეთა დიდმა ხელფასებმა ბევრ კლუბს ვალები დაადო, ყველაზე დიდი რისკის წინაშე კი „ფიორენტინაა", რომლის გასაჭირზე მთელი წინა სეზონის განმავლობაში ლაპარაკობდნენ. ზოგ გაზეთს რიცხვებიც კი მოჰქონდა. ამბობენ, რომ სერია B-ს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ფლორენციელებს 22 მილიონი ევროს შოვნა სჭირდებათ, თუმცა, ყველაზე გამაოგნებელი რომაული კლუბებისთვის ნათქვამი უარი გახლდათ.

იტალიის დედაქალაქის მერმა, ვალტერ ველტრონიმ განაცხადა:

„იტალიის პირველობა რომაული კლუბების გარეშე წარმოუდგენელია. ბოლო სამი სკუდეტოდან ორი სწორედ „რომამ" და „ლაციომ" მოიგეს. ამ გუნდებს მთელ ქვეყანაში პატივს სცემენ და ნაკრებსაც მათი საუკეთესო მოთამაშეები ემსახურებიან. იტალიას მსოფლიოში სხვებთან ერთად ეს ორი გუნდიც წარმოადგენს. ასე რომ, საფეხბურთო ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია უნდა დასხდნენ და გამოსავალი მოიფიქრონ."

„რომას" გახელებულ პრეზიდენტ ფრანკო სენსისაც მოვუსმინოთ:

„ამდენი ხანი იმიტომ დავყოვნდით და ფული იმიტომ არ გადავრიცხეთ, რომ გვაინტერესებდა გაგვეგო, რატომ გვთხოვენ ჩვენ სხვებზე სამჯერ მეტის გადახდას. ბოლოს და ბოლოს, გადავრიცხავთ, აბა, რას ვიზამთ, მაგრამ მანამდე ახსნა-განმარტება მაინტერესებს."

„ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ კი ყველაფერი კავშირგაბმულობის სისტემას დააბრალა — „კოვისოკის" გამოგზავნილი წერილი (ალბათ, ფაქსი) არ მიგვიღიაო.

„ჯენოას" გენერალური დირექტორი ჯანი ბლონდეტი: „რეგისტრაციის მიღმა დატოვებული გუნდების რაოდენობა გვაჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში საფეხბურთო-ეკონომიკური კრიზისია. სურათი ასეთია, გასავალი შემოსავალზე ორჯერ მეტი გვაქვს."

**ბაჩუნა ძიძია**



მარატ იზმაილოვი „ლოკომოტივს"
ვერაფრით დაეხმარა და იქით დასახმარებელი გახდა

## ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
### ნორვეგია. 21-28 ივლისი



ესპანელმა ხოსე ანტონიო რეიესმა თანაგუნდელთაგან მილოცვა ორჯერ მიიღო

# ჩეხოსლოვაკია მეორედ დაიშალა
## მასპინძელი სახლში წავიდა

**A ჯგუფი. II ტური**

**სლოვაკეთი 5:2 ჩეხეთი**

1:0 ივანა (16), 1:1 ფორტი (21 პენ.), 2:1 პალენარი (33 პენ.), 2:2 შივოკი (34), 3:2, 4:2 სებო (45, 65), 5:2 სლობოდა (90)

სლოვაკები ალარ ხუმრობენ, მასპინძელი ნორვეგიის გასილაქების შემდეგ ყოფილ ძმებსაც ხუთი გოლი უძღვნეს. ამრიგად, პეტერ პოლაკის გუნდი 6 ქულით A ჯგუფში პირველ ადგილით იწონებს თავს. ნამატჩევს სლოვაკთა დამრიგებელი სიხარულისგან აცმუკებულს სულაც არ ჰგავდა, ბოლოს და ბოლოს, მისმა ნაკრებმა შესარჩევ ჯგუფში პორტუგალია ჩატოვა.

| 28.07.02 | 21.00 | 071 | ლინი0:1; 1:3ვიკინგი; 1:3ოდ გრენლანდი **ლილესტრომი** | V | **ბრინი** ბოდიო გლიმტი4:3; 0:1ლინი; ვიკინგი3:3 | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 | 1:1 | [illegible] | [illegible] | - |
| 28.07.02 | 21.00 | 072 | 0:0მოლდე; როზენბორგი1:3; ლილესტრომი3:1 **ოდ გრენლანდი** | V | **მოსი** ბრანი0:1; 4:0სოგნდალი; ბოდიო გლიმტი1:0 | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 | 1:0 | 3:1 3:1 | 0:0 2:2 | 0:1 1:0 |
| 28.07.02 | 21.00 | 073 | მოსი0:4; 0:3როზენბორგი; ლილესტრომი5:2 **სოგნდალი** | V | **ვოლერენგა** სტაბეკი0:2; 2:2ბოდიო გლიმტი; 7:2სტარტი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 | 0:2 | - | - | - |
| 28.07.02 | 21.00 | 074 | 2:0ვოლერენგა; სტარტი5:2; 0:1მოლდე **სტაბეკი** | V | **ბოდიო გლიმტი** 3:4ბრინი; ვოლერენგა2:2; 0:1მოსი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 | 0:2 | 2:1 2:2 | 6:1 3:3 | 3:2 0:4 |
| 28.07.02 | 21.00 | 075 | 2:0როზენბორგი; ლილესტრომი3:1; 3:3ბრინი **ვიკინგი** | V | **მოლდე** ოდ გრენლანდი0:0; 1:4ბრანი; სტაბეკი1:0 | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,25 | 1,25 | 1,6 | 0:3 | 1:2 1:1 | 0:0 0:1 | 4:1 4:3 |
| 29.07.02 | 22.00 | 076 | 1:0ლილესტრომი; ბრინი1:0; ოდ გრენლანდი3:0 **ლინი** | V | **როზენბორგი** ვიკინგი0:2; 3:1ოდ გრენლანდი; სოგნდალი3:0 | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,35 | 1:5 | 1:1 1:1 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლინი (11) | ■ | 3:1 | 3:0 | | | : | 24.08 | | 3:1 | 1:0 | 2:0 | 11.08 | 1:0 | 1:0 | 14 | 11 | 1 | 2 | 22:14 | 34 | 7 | 0 | 0 | 14:2 | 21 | 4 | 1 | 2 | 8:12 | 13 |
| 2 | მოლდე (5) | 04.08 | ■ | 0:0 | 1:0 | 3:0 | 18.08 | 2:0 | 2:0 | | 25.08 | 0:0 | 5:1 | | | 14 | 8 | 3 | 3 | 24:12 | 27 | 5 | 2 | 0 | 13:1 | 17 | 3 | 1 | 3 | 11:11 | 10 |
| 3 | ოდ გრენლანდი სკიენი (6) | | 1:1 | ■ | 25.08 | 2:0 | 1:3 | 11.08 | | 2:3 | 3:1 | 3:1 | : | 4:2 | 2:0 | 15 | 8 | 2 | 5 | 23:18 | 26 | 5 | 1 | 2 | 18:11 | 16 | 3 | 1 | 3 | 5:7 | 10 |
| 4 | სტაბეკი ბეკესტუა (4) | 5:0 | | 1:0 | ■ | | 0:0 | 0:0 | 18.08 | : | 2:1 | | : | 4:0 | 5:2 | 14 | 7 | 4 | 3 | 26:15 | 25 | 5 | 2 | 0 | 17:3 | 17 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| 5 | ვიკინგი სტავანგერი (3) | : | : | | 3:3 | ■ | 2:0 | 4:1 | 4:1 | 25.08 | | 3:1 | 4:1 | | 11.08 | 14 | 7 | 4 | 3 | 28:18 | 25 | 5 | 1 | 0 | 20:7 | 16 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 9 |
| 6 | როზენბორგი ტრონჰეიმი (1) | 5:1 | 3:0 | 0:1 | | 0:2 | ■ | | | 4:3 | 11.08 | 04.08 | 25.08 | 3:0 | 4:2 | 14 | 7 | 3 | 4 | 26:16 | 24 | 5 | 0 | 2 | 19:9 | 15 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| 7 | ვოლერენგა ოსლო (დ) | 1:2 | | 2:0 | 0:2 | 18.08 | 0:0 | ■ | 04.08 | 1:1 | : | | 3:1 | 2:0 | | 14 | 5 | 5 | 4 | 24:17 | 20 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 11 | 2 | 3 | 2 | 15:11 | 9 |
| 8 | ბრანი ბერგენი (7) | 1:1 | 4:1 | 1:3 | 4:1 | | : | 0:4 | ■ | 11.08 | 1:2 | , | 0:1 | 25.08 | : | 14 | 6 | 2 | 6 | 20:23 | 20 | 2 | 1 | 4 | 11:13 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:10 | 13 |
| 9 | ბოდიო გლიმტი ბოდიო (9) | | 0:2 | 18.08 | 2:0 | 0:0 | | 2:2 | 0:1 | ■ | 4:0 | 0:1 | | 04.08 | : | 14 | 4 | 3 | 7 | 21:21 | 15 | 2 | 2 | 3 | 8:6 | 8 | 2 | 1 | 4 | 13:15 | 7 |
| 10 | ბრინი (12) | 0:1 | 0:2 | | 04.08 | 3:3 | 2:1 | | | 4:3 | ■ | 1:1 | 0:0 | 18.08 | 3:1 | 14 | 4 | 3 | 7 | 19:26 | 15 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 12 | 1 | 0 | 5 | 6:14 | 3 |
| 11 | ლილესტრომი (2) | 0:1 | 11.08 | | 1:2 | 2:0 | 0:1 | 1:1 | 0:1 | | : | ■ | 1:1 | | 25.08 | 15 | 3 | 4 | 8 | 13:21 | 13 | 1 | 2 | 4 | 5:7 | 5 | 2 | 2 | 4 | 8:14 | 8 |
| 12 | მოსი (10) | 0:2 | | 0:1 | | 04.08 | 2:2 | | 0:1 | 1:0 | | 18.08 | ■ | 3:3 | 0:2 | 14 | 3 | 4 | 7 | 15:24 | 13 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| 13 | სოგნდალი (8) | | : | | 11.08 | 0:2 | | : | 2:3 | 0:2 | 3:2 | 5:2 | 0:4 | ■ | 0:0 | 13 | 2 | 2 | 9 | 15:32 | 8 | 2 | 1 | 4 | 10:15 | 7 | 0 | 1 | 5 | 5:17 | 1 |
| 14 | სტარტი (დ) | 18.08 | 0:4 | 04.08 | 1:1 | 1:1 | | 2:7 | 2:2 | | | 0:2 | | : | ■ | 13 | 1 | 4 | 8 | 13:32 | 7 | 0 | 3 | 3 | 6:17 | 3 | 1 | 1 | 5 | 7:15 | 4 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# ცქიტიშვილმა ქულებთან ერთად ტრავმაც მოასწრო

## ნიკა სოლტ ლეიკში სოხუმსაც გაიხსენებს

*ნიკა ცქიტიშვილის წარმატებულმა დრაფტმა ლოგიკური კითხვა შვა — აუღებს კი ალღოს ამერიკულ კალათბურთს ევროპაში თამაშმონატრებული ქართველი? არსებობდა ეჭვიც, რომ ამრჩევი „დენვერი" 19 წლის ქართველ ჭაბუკს კლასის ასამაღლებლად ისევ ევროპაში გაუშვებდა, მაგრამ...*

*შაბათს გადაწყდა, რომ ცქიტიშვილი უახლოეს სამ წელიწადს ნბა-ს აღარ დატოვებს. „დენვერმა" ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში ჩვენებურს კონტრაქტი გაუფორმა. რაც შეეხება პროფესიულ კალათბურთთან მორგებას, ამის იმედი „ცქიტოს" ოფიციალურად გადენვერელებიდან რამდენიმე საათში გაუჩნდა — ნიკამ „დენვერ" — „იუტას" საზაფხულლიგო მატჩში ყველას აჯობა და მისადმი კეთილგანწყობილი ამერიკელები უფრო მეტად აალაპარაკა*



ნიკა ცქიტიშვილი

**მომდევნო მატჩში**, „კლივლენდთან" ქართველი მოიკოჭლებდა, რისი მიზეზიც, როგორც თავად ნიკამ გვითხრა, სწორედ კოჭის მცირე ტრავმა ყოფილა.

ცქიტიშვილს სოლტ ლეიკ სიტიში გუშინ, „ჩიკაგოსთან" მესამე მატჩის დასრულებიდან რამდენიმე საათში დავუკავშირდით და იქაური ამბები გამოვკითხეთ.

**— ვიდრე შენს დენვერულ დებიუტზე გკითხავ, ჯერ, კონტრაქტზე: რა ვითარებაში მოხდა „დენვერთან" შენი ხელმოწერით დაკავშირება, რაიმე ოფიციალური ცერემონიალი თუ მოაწყვეს?**

— არავითარი ცერემონიალი არ ყოფილა. კლუბის ხელმძღვანელობამ დამიბარა, „ბენეტონიდან" შენი გათავისუფლების ფურცელი მოვიდა და მოდი, კონტრაქტს ხელი მოაწერეო. დენვერში რომ ვყოფილიყავით, დარწმუნებული ვარ, ამ მოვლენას სათანადოდ აღნიშნავდნენ. ჟურნალისტებსაც დაჰპატიჟებდნენ და 22-ნომრიან მაისურასაც საზეიმოდ გადმომცემდნენ, მაგრამ ეს ამბავი სოლტ ლეიკ სიტიში მოხდა, რამდენიმე საათში „იუტასთან" საზაფხულო ლიგის პირველი მატჩი იწყებოდა...

**— რომელშიც საუკეთესო იყავი. „იუტამ" ის მატჩი სამი ძირითადი მოთამაშით დაიწყო, თქვენ კი იოლად მოუგეთ. რას იტყვი შენს დებიუტზე?**

— „იუტასთან" მატჩის შემდეგ უზომოდ ბედნიერი ვიყავი. იმ დღეს დაემთხვა „დენვერთან" კონტრაქტის გაფორმებაცა და დებიუტიც. მით უმეტეს, რომ „იუტასთან" მოგებულ მატჩში ყველაზე მეტი ქულა დავაგროვე და ჩემი გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე. მწვრთნელმა სამ ნომერზე, მსუბუქ ფორვარდად მათამაშა და თავიდანვე რუსი ანდრეი კირილენკოს დაჭერა დამავალა. არ ვტრაბახობ, კირილენკომ ვერაფერი გააკეთა, პირველ შვიდ წუთში მხოლოდ ერთი ბურთი ჩავაგდებინე. მერე ფეხი გადაუბრუნდა და მოედანზე აღარ შემოსულა.

**— შენც, ალბათ, ამის მერე უფრო ათამაშდი...**

— შეიძლება ეგეც იყო, მაგრამ არა მგონია, კირილენკოს მოედანზე ყოფნას ჩემი 16 ქულისთვის რამე მოეკლო. იგი ჩემი მეურვეობით თავს არ იკლავდა, უფრო შეტევაზე ფიქრობდა. „დენვერი" კი დაცვას მეტ ყურადღებას აქცევს. ჩვენს დროებით მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკს დაცვის მთელი სისტემები აქვს და გუნდს კარგადაც მოარგო.

**— ფრთის პოზიციაზე თამაშმა უხერხულობა ხომ არ შეგიქმნა? შენი სიმაღლის კალათბურთელები ხომ ცენტრები არიან.**

— არა, პირიქით. ჩემი კოზირიც ესაა, მაღალი ვარ და 190-სანტიმეტრიანი მოთამაშესავით ვმოძრაობ. „იუტას" მერე კიდევ ორი მატჩი ვითამაშეთ და ჩემი მოწინააღმდეგეები დაახლოებით ამ სიმაღლისანი იყვნენ. როგორც გამოჩნდა, არც მათზე ნაკლებად დავრბოდი და ბურთსაც ხშირ შემთხვევაში უკეთ ვატარებდი. ამერიკელების უმრავლესობა სწორედ ამის გამო გაოცებული.

**— ესე იგი, ფარქვეშ იშვიათად გიწევდა შესვლა. ალბათ, ამის გამო იყო, ამ მატჩებში ცოტა მოხსნები რომ გქონდა.**

— ეგრეა, ჩემს ადგილს ჩემი ოპონენტი განსაზღვრავდა. ამიტომაც ძირითადად პერიმეტრზე ვმოძრაობდი. ფარქვეშ რომ თავისუფლად ითამაშო, ჯანიანი უნდა იყო, მე კი არ მაქვს სათანადო წონა. მოხსნების სიმცირეც ამის ბრალია, სამაგიეროდ, ხშირად მიწევდა სამქულიანების სროლა.

**— სხვა პოზიციაზე არ მოგსინჯეს?**

— კი, როგორ არა, მაგრამ არა წინა ხაზში, არამედ ორ ნომრად, მსროლელის პოზიციაზე. მგონი, გადაწყვეტილია, რომ „დენვერს" მსუბუქ ფორვარდად ვუნდივარ.

**— „კლივლენდთან" მატჩში მხოლოდ სამ ქულას დასჯერდი. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ტრავმას მოერიდე და თავი აღარ გამოიდე.**

— საქმე ისაა, რომ მცირე ტრავმა უკვე მიღებული მქონდა და გამიზეზებას ვერიდებოდი, რომც მდომოდა, მთელი ძალით ვერ ვირბენდი. „იუტასთან" მატჩის მიწურულს ფეხი გადავიბრუნე და კოჭის ტკივილი მაწუხებდა.

**— სერიოზული ხომ არაფერია?**

— არა, მაგრამ თუ არ მიხედე, შეიძლება მცირე ტრავმაც გაგიმიზეზდეს. მწვრთნელებმა მითხრეს, გათამაშებთ, მაგრამ ზედმეტად დატვირთვას მოერიდეო, მეც ვფრთხილობდი, სამაგიეროდ, გამოცდილება გავიმდიდრე.

**— დღეს „ჩიკაგოს" ეთამაშეთ და მათაც იოლად სძლიეთ. ამჯერად კარგად ითამაშე...**

— „დენვერში" სერიოზული მუშაობა მიდის. არ ვიცი, სეზონი რომ დაიწყება, რა როგორ იქნება, მაგრამ სოლტ ლეიკ სიტიში ჯერჯერობით ყველას ვჯობნით. კი, ეს არაა სერიოზული მატჩები, მწვრთნელები ხომ აქ კალათბურთელებს აფასებენ, მაგრამ აქ თავგამოჩენილ მოთამაშეებს ნებისმიერი გუნდის გაძლიერება შეუძლიათ. ჩვენს მატჩებს ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება. დენვერელები ძალიან ლამაზად ვთამაშობთ. სხვა გუნდების მატჩებისას იშვიათია ისეთი მომენტები, როგორებიც „ნაგიტსის" თამაშებში ხშირადაა. თითქმის ყველა ჩემი თანაგუნდელი თითო შეხვედრაში ხუთჯერ ტენის.

დღეს 9 ქულა ჩავაგდე და ჩემი თამაშით კმაყოფილი დავრჩი.

**— გუნდის ხელმძღვანელები რას გეუბნებიან, მათაც აკმაყოფილებთ შენი თამაში?**

— აქ რაგინდ მაგრადაც უნდა ითამაშო, მწვრთნელები დიდად არ შეგაქებენ, მხოლოდ ერთს გეუბნებიან, ყოჩაღ, ეგრე გააგრძელეო, თუმც ჩემით რომ კმაყოფილები არიან, ყველაფრიდან ჩანს. დიდ ყურადღებას მაქცევენ, სამივე მატჩიც ხუთეულში დავიწყე. ამერიკელთა ყურადღებიანი დამოკიდებულება გაცილებით კარგად ჩანს პრესიდან. იმას, რასაც მწვრთნელები ჩემზე ჟურნალისტებს ეტყვიან, მე არ გამიმხელენ.

**— რატომ?**

— ალბათ, ფიქრობენ, თავში არ აუვარდესო.

**— უკვე საკმაო დრო გაატარე ამერიკულ მოედნებზე. რა განსხვავებას ხედავ ევროპული კალათბურთისგან, სად უფრო გიადვილდება თამაში?**

— მართლაც საკმაოდ ვითამაშე. „ბენეტონში" ათიოდ წუთით მიწევდა მოედანზე გასვლა, აქ კი — 25-30-ით. თავიდან მეგონა, გამიადვილდებოდა, მაგრამ ახლა აზრი შევიცვალე. იტალიაში თან ცოტას ვთამაშობდი, თანაც წინა ხაზში ვიყავი, სადაც შედარებით ნაკლები შეტაკება მიწევდა. აქ კი დროც გაიზარდა და თან უკან დამხიეს. ჩემი ამპლუის ხალხი მეტს მოძრაობს, ვიდრე თავდამსხმელები და ცენტრები, ასე რომ, შედარებით დაბალ მეტოქეთა დევნაში მაგრად ვიღლები. განსხვავებაც ესაა, ტემპი აქ უფრო მაღალია, მაგრამ მთავარი მაინც ძალისმიერი თამაშია, რაც მე ჯერჯერობით ნაკლებად მეხება. თამაში ჩემთვის მოსალოდნელზე კარგად დავიწყე. წესით, კიდევ უნდა მოვუმატო. თუ ყველაფერს გავართვი თავი, ალბათ, არც შემდგომში გამიჭირდება.

**— „დენვერის" საჩემპიონატო 12-კაციან განაცხადშიც, ალბათ, შეგიყვანენ...**

— ეს თითქმის გადაწყვეტილია. ამ მატჩებმა კარგად დაანახვა დენვერელებს, რომ ჩემს არჩევაში არ შემცდარან.

**— „ჩიკაგოსთან" ნენე ილარიომაც ითამაშა. მას თუ გაუფორმეს კონტრაქტი?**

— ჩიკაგოელებთან ილარიომ გარისკა და უკონტრაქტოდ ითამაშა. მისი გუნდი დათანხმდა ნენეს გათავისუფლებას და მანაც ველარ მოითმინა. მატჩიდან რამდენიმე ხანში შესაბამისი საბუთიც მოვიდა ბრაზილიიდან და მგონი, ილარიომ უკვე გააფორმა კონტრაქტი, რაც ძალიან მახარებს.

**— ილარიოს გარდა ვისთან ახლობლობ. საერთოდაც, როგორი ატმოსფეროა „დენვერში", როგორი ურთიერთობებია ახალბედებს შორის?**

— ადრეც მითქვამს, რომ ამერიკელები ურთიერთობებში საკმაოდ თბილები არიან-მეთქი. „დენვერშიც" იგივე ხდება, მაგრამ ერთი რამ შევნიშნე, რაც, ალბათ, დროებითია. საქმე ისაა, რომ სანამ გუნდი დაკომპლექტდება, „დენვერში" უდიდესი კონკურენციაა. 17-დან 7 კალათბურთელი უნდა შეარჩიონ, სადაც მე, ილარიოს და ერთი-ორს უკვე ადგილი გვაქვს დაჯავშნული. ასე რომ, გასაგებია ის დამოკიდებულება, რომელსაც უმრავლესობა იჩენს ჩვენს მიმართ. ეს უფრო მოედანზეა თვალში საცემი, ცდილობენ, თავი გამოიჩინონ, პასის მოცემა კი ავიწყდებათ... დარწმუნებული ვარ, ეს მომენტი მალე გაქრება, როცა გუნდი საბოლოო სახეს მიიღებს.

**— მომდევნო მატჩი ხვალ „ფინიქსთან" გაქვთ, იქ ხომ ახლა შენი ბენეტონელი მწვრთნელი მაიკ დანტონი მუშაობს.**

— ასეა, და ძალიანაც ვნერვიულობ. ეს კაცი მუდამ გვერდში მედგა და მისი გუნდის წინააღმდეგ თამაში ვერ წარმომიდგენია. და კიდევ, „ფინიქსში" ითამაშებს ცაკალიდისი, რომელიც სოხუმშია დაბადებულ-გაზრდილი. უნდა გამოველაპარაკო და ვუთხრა, ჩემი პირველი გუნდი „სოხუმის უნივერსიტეტი" იყო-მეთქი.

**— საზაფხულო ლიგა 27 ივლისს მთავრდება. მერე რა გეგმები გაქვს?**

— მერე მე, ილარიო და, ალბათ, ფრანცისკო ელსონიც ჰავაიზე წავალთ. იქაც საწვრთნელი ბანაკი დაგეგმილი, ოღონდ 210-სანტიმეტრსაცილებული კალათბურთელებისთვის. „დენვერის" ხელმძღვანელობას სურს, რომ მე და ილარიო მაქსიმალურად დავიტვირთოთ.

**— ბოლოს ისევ კონტრაქტზე გკითხავ. საქართველოს ნაკრები თუ იყო მასში ნახსენები?**

— არა, ნაკრებებზე ნბა-ში არ ლაპარაკობენ. ისედაც ცნობილია, რომ სანამ სეზონი მიმდინარეობს, გუნდიდან არავის გაუშვებენ. სამწუხაროა, რომ თუ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავედით, საქართველოს ნაკრებს ვერ დავეხმარები.

**ირაკლი ბერტაია**

# ამერიკელები ქართველს ახალ კალათბურთს ასწავლიან

*ვერას გეტყვით, რეგულარულ ჩემპიონატში, ანუ ნაღდ თამაშებში როგორ გამოიჩენენ თავს „დენვერ ნაგიტსი" და მისი ქართველი ახალწვეული ნიკოლოზ ცქიტიშვილი, სადღეისოდ კი ისინი სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო ლიგაში დაუმარცხებლები არიან.*

მეზობელ ქალაქ სოლტ ლეიკში „დენვერს" არ წაუყვანია ნბა-ს ნაღდი ვარსკვლავები, მხოლოდ გამოუცდელი და ქუჩიდან აყვანილი ბიჭები იახლა, მაგრამ მათი ძალისხმევითაც ჯერჯერობით იოლად უმკლავდება მეტოქეებს. მესამე თამაში და მესამე გამარჯვება, ამჯერად „ოქროს ზოდებმა" ჩიკაგოელი „ხარები" გაამწარეს. არადა, „ჩიკაგო" სოლიდური შემადგენლობით ეწვია დიდი მარილიანი ტბის შემოგარენს, „დენვერთან" ხუთეულში ჰყავდა ნაღდი „ჩიკაგოს" სამი დამწყები, შარშანდელი დრაფტის ხმაურიანი სახელები — ტაისონ ჩანდლერი, ედი კარი და ტრენტონ ჰასელი. არც წლევანდელი დრაფტის მეორე ნომრის ჯეი უილიამსის არჩათვლა იქნება, ვინძლო ეს ჯეელი მომავალი სეზონის საუკეთესო ახალბედაც გახდეს, „დენვერს" კი მან და მისიანებმა ვერაფერი დააკლეს.

ცქიტიშვილმა თქვა, ხალხი ჩვენ სანახავად უფრო დადის, მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავები სხვა გუნდებში თამაშობენო. ამის მიზეზი დენვერელთა თავგამოდებული ბურთაობაა. „ნაგიტსს" ყველა სხვაზე მეტი კალათბურთელი ჰყავს, აი, „ჩიკაგოს" 15 კაცით წარუდგა. ბუნებრივია, თხუთმეტივეს სურს ნაღდ „დენვერში" მოხვედრა. ამ 15-დან საბოლოოდ კი მათგან შვიდი ბედნიერი შეირჩევა. მათ შორის უცილობლად იქნება ნიკა ცქიტიშვილი და აგრეთვე წლევანდელი დრაფტის მეშვიდე ნომერი ნენე ილარიო. როგორც იქნა, ბრაზილიელმა ცენტრმა თავი დააღწია ყოფილ გუნდს „ვასკუ და გამას" და გუშინწინ „დენვერთან" სამწლიან და მინიმუმ 5,5 მილიონიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. ის „ჩიკაგოსთან" თამაშშიც გამოჩნდა მოედანზე და 16 წუთში ექვსი ქულა უთავაზა „ხარებს".

თავად ცქიტიშვილმა, წინა ორივით, ეს შეხვედრაც სასტარტო ხუთეულში დაიწყო და „დენვერის" საკეთილდღეოდ 22 წუთში 9 ქულას, 3 მოხსნას და 2 პასს გამოვიდა. ისე კი, ქულა-მოხსნათა რაოდენობა აქ მთავარი არაა. ადრეც ვწერდით, „დენვერი" ჩვენებურს მსროლელის პოზიციას არჩევდა. რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, 213-სანტიმეტრიანი ქართველი კარგად შეეგუა ჩვეულებრივ ორ მეტრზე დაბალი მოთამაშეების ამპლუას და თავისი სიმაღლის ფარქვეშ გამოყენების ნაცვლად თავის მოქნილობას პერიმეტრზე სირბილით და შორიდან სროლებისას ხვეწს. ნიკა თამამად უტევს შორი დისტანციიდან და „ჩიკაგოსთანაც" სამი ცდიდან ორი სამქულიანი ჩააგდო. შესაძლებლობა რომ გვქონოდა, უცნობი სიდიდის ნაცნობით გაზომვის მოყვარულ ამერიკელებს ვურჩევდით, ჩვენებური ფარზე დაგეშილი პაუ გასოლის ნაცვლად სნაიპერ დირკ ნოვიცკისთვის შეედარებინათ.

რაც შეეხება თამაშს, „ჩიკაგოს" ძლევა ერთობ ლამაზი გამოუვიდათ ნიკას და მისიანებს. „ბულზი" პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში ტოლძალოვნად ეპაექრებოდა „ნაგიტსს" და დასკვნითი მეოთხედის წინ სამქულიან უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ მერე კი გაუჭირდა. გადამწყვეტი მეოთხედი „დენვერმა" საშინლად, 32:11 მოუგო მეტოქეს და დაუმარცხებელი სვლა განაგრძო.

მომდევნო შეხვედრას „დენვერი" ასევე უძლეველ „ფინიქსთან" 25 ივლისს გამართავს, რაც ჩვენი დროით 26 ივლისის დილას უდრის. აქ ცქიტიშვილი მისთვის საინტერესო ორ კაცს შეხვდება, სოხუმელ ბერძენ იაკოვოს ცაკალიდისს, რომელიც აგერ ორი სეზონია, „ფინიქსის" პირველი ცენტრის პოზიციის გამყარებას ცდილობს და ყოფილ მწვრთნელ მაიკ დანტონის. დანტონი მას ტრევიზოს „ბენეტონში" წვრთნიდა, ახლა კი ეს ნბა-ში მიღებული კაცი „ფინიქსის" მეორე მწვრთნელია. სხვათა შორის, დანტონის ამ ორი წლის წინ ცქიტიშვილის „დენვერი" ებარა.

**ირაკლი ფირჯშილი**



საქართველოში დაბადებული იაკოვოს ცაკალიდისი ხვალ სოლტ ლეიკ სიტიში ნიკა ცქიტიშვილს შეხვდება



ალექს ბოგომოლოვი



ანა კურნიკოვა

# ლაბაძეს კოლომ უკბინა

**ავსტრიის ღია პირველობა**
კიცბიუელი. თიხნარი
საპრიზო 880 ათასი $

**პირველი წრე**

**ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 7:5; **მარკუს ჰიპფლი** (ავსტრია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 7:5; **ანდრე სა** (ბრაზილია) — ჟულიან ნოული (ავსტრია) 3:6, 6:1, 6:3

**მეორე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (6, ეკვადორი) — რენცო ფურლანი (იტალია) 6:7 (3:7), 6:2, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — რენე შიუტლერი (7, გერმანია) 6:4, 6:2; **ალექს კორეჩა** (8, ესპანეთი) — ტომას შისლინგი (ავსტრია) 6:3, 6:0; **მარტინ ვერკერკი** (ჰოლანდია) — ჰიშამ არაზი (14, მაროკო) 6:2, 6:4; **მიხაელ კოლმანი** (გერმანია) — ფელიქს მანტია (16, ესპანეთი) 6:3, 6:4

კიცბიუელის ტურნირი თავისთავად დიალაც საინტერესო რამ გახლავთ, ხოლო ჩვენთვის კიდევ მეტი მნიშვნელობა იქ ირაკლი ლაბაძის მონაწილეობის გამო შეიძინა.

საპირველწრეო ამოცანა ქართველმა წარმატებით გადაწყვიტა — 21 წლის ცაცია ავსტრიელის, მსოფლიოში რანგით 110-ე იურგენ მელცერის ძლევას ორ სეტზე მეტი არ მოანდომა და ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ხუან კარლოს ფერეროსკენ გაიკაფა გზა.

ესპანელ კოლობიჭს ჩვენიანი შეუპოვრად ეომა და ჯამში რვა გეიმიც აართვა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ამან, ცხადია, ვერ იკმარა — 4:6, 4:6. ფერერო ხომ მელცერზე 102 საფეხურით მაღლა იმყოფება...

დამაჯერებლად იჩოგნავა იმ დღეს ალექს კორეჩამ (8), ორგზის როლან გაროსის ფინალისტმა ესპანელმა, რომელმაც წლეულს პარიზულ სეფეთიხნარზე ნახევარფინალს უწია, ორი კვირის წინ გშტაადის ტურნირი მესამედ აართვა და წინა კვირას ამერსფოორტის მეორე წრეში მოულოდნელად დამარცხდა ბელგიელ კრისტოფ როშუსთან.

უსახელო ტომას შისლინგი მან განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე დაჩოგნა და წლეულს ნათამაშებ 37-ე შეხვედრაში 25-ე გამარჯვება მოიპოვა.

ადგილობრივ ქომაგთა გულები მოაოხა ავსტრიელმა მარკუს ჰიპფლმა, ვინაც ესპანელ ფერნანდო ვისენტეს გასცდა.

**მერსედეს-ბენცის თასი**
ლოს ანჯელესი. პარდი
საპრიზო 400 ათასი $

**პირველი წრე**

**ალექს ბოგომოლოვი** (აშშ) — ტომი ჰაასი (1, გერმანია) 6:4, 6:4; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — კენეტ კარლსენი (შვედეთი) 6:3, 6:1; **სებასტიან გროჟანი** (3, საფრანგეთი) — ჯეკ ბრეზინგტონი (აშშ) 6:1, 6:2; **გუსტავო კუერტენი** (5, ბრაზილია) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 7:5, 7:6 (9:7); **ნოამ ოკუნი** (ისრაელი) — სხენგ შალკენი (6, ჰოლანდია) 7:6 (7:5), 7:6 (7:4); **ქსავიე მალისი** (7, ბელგია) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:4); **მაქს მირნი** (8, ბელარუსი) — სისილ მამიტი (აშშ) 6:4, 6:4

ალექს ბოგომოლოვი 19 წლისაა, ამერიკის მოქალაქე, ხელთ მსოფლიოს 278-ე ჩოგანი უპყრია და სახელისა და გვარის მერე დანართ „ჯუნიორსაც" მოიძვს, რაკილა მამამისი ალექსანდრიც მეჩოგნე იყო და თავის დროზე — ეგებ უფროსებს გახსოვდეთ და — თბილისშიც არა-ერთხელ უთამაშია.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, აილო ამ რუსამერიკელმა ბიჭმა და არავინ რომ არ ელოდა, თავის პირველსავე სა-ATP-ო მატჩში ტურნირის მთავარგანთესილი, გერმანელი ტომი ჰაასი დასცა!

ჰაასს საპატიო მიზეზი ნაღდად ჰქონდა — ბოლო თვეები ავტოავარიაში დაშავებულ მშობლებს ძიძაობდა და კორტზე ხეირიანად არც გაერონა. ალექსი კი ნამატჩევს მაგრად აჭყლოპინებულიყო და, ხვალ რომ გავიღვიძებ, იმედია, ისევ სიზმარში არ ვიქნებიო, აი, ეგრე წაუსიურრეალისტებდასავით.

სხვაფრივ — ლოსანჯელესურმა ქომაგობამ იმ დღეს ორი დიადთაგანის, შარშან გამარჯვებულ ანდრე აგასისა (2) და შარშანდელ ნახევარფინალისტ გუსტავო კუერტენის (5) ცოცხლად ხილვითაც გაიხარა.

თუმცა ხილვა ხილვად და ბიჭებმა მაცქერალთ შუშპარა თამაშითაც აამეს. ანდრემ შვედ კენეტ კარლსენს მოუღო ბოლო, გუგამ კი შვეიცარიელი გეორგ ბასტლი დაიმორჩილა.

უიმბლდონის მეორე წრეში ტაილანდელ შრიჩაფანთან წაგება ისე მეწყინა, იმის მერე კორტიდან აღარ გამოვსულვარო, იძახდა აგასი, ხოლო გუგა საფარს ემადლიერებოდა, არც ისე სწრაფიაო, და ძალიან ბედნიერი ვარ, სეტისწაუგებლად რომ მოვიგეო.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელ ჯადომეთიხნარეს ამერიკაში შარშანდელი ღია პირველობის შემდეგ აღარ ეთამაშა, მაგარ საფარზე გარჯა კი ბოლოჯერ იანვარში, ავსტრალიურ სლემტურნირზე მოუხდა. „მართალია, თიხისგან მაინც განსხვავდება, მაგრამ არა უშავს. ისე კი, კარგი იქნებოდა, შტუტგარტში მეტი ხნით თამაში დამცლოდა, მენტალურად უფრო მაგრად ვიქნებოდი" — დასძინდა ბოლოს.

იმდღევანდელი ჩაუქი თამაშით გამოირჩა ფრანგი სებასტიან გროჟანიც (3), ვინაც უსახელო ამერიკელი ჯეკ ბრეზინგტონის ოტებას მხოლოდ 55 წუთი მოანდომა. როლან გაროსის შემდეგ გროჟანი მთელი ერთი თვე ნატკენი მარჯვენა ფეხს იშუშებდა.

იმარჯვა უიმბლდონის ბელგიელმა ნახევარფინალისტმა ქსავიე მალისმაც — ის ამ ტურნირის შარშანდელი ნახევარფინალისტიც გახლავთ.

ხოლო თუკი ვინმე დღის მეორე მოულოდნელობით დაინტერესდება, ეგ ამბავი ასე იყო — ისრაელის უპირველესმა და მსოფლიოს 122-ე მეჩოგნე ნოამ ოკუნმა მეექვსე ნომრად განთესილი სხენგ შალკენი, უიმბლდონის მეოთხედფინალისტი გააბუნძურა და ნამატჩევს, როგორც ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, კარიერის უდიდეს გამარჯვებაზე ილაპარაკა.

წლეულს თავის მე-19 ტურნირზე მოთამაშე შალკენი აურაცხელმა უნებლიე შეცდომებმა დააზარალა — 13 მას მხოლოდ ორმაგი იალიში მოუვიდა.

**პოლონეთის ღია პირველობა**
სოპოტი. თიხნარი

**ვაჟები**
საპრიზო 381 ათასი $

**პირველი წრე**

**ირჟი ნოვაკი** (1, ჩეხეთი) — სებასტიან დე შონაკი (საფრანგეთი) 6:7 (3:7), 6:2, 6:2; **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:2, 6:1; **დომინიკ ჰრბატი** (4, სლოვაკეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:2, 6:3; **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) — დავიდ სანჩესი (5, ესპანეთი) 0:6, 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (7, რუსეთი) — ბარტოლომიეჟ დაბროვსკი (პოლონეთი) 7:6 (7:2), 6:0

**ქალები**
საპრიზო 300 ათასი $

**პირველი წრე**

**არანჩა სანჩეს ვიკარიო** (3, ესპანეთი) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:3, 6:1; **მარტინა სუხა** (4, სლოვაკეთი) — ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:1, 7:6 (7:4), 6:3; **ჰენრიეტა ნაგიოვა** (6, სლოვაკეთი) — ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) 4:6, 7:6 (7:3), 6:1

კარლოს მოიამ ზედიზედ მეთერთმეტე შეხვედრა მოიგო. ასეთი რამ კი ადრე არასოდეს მომხდარა.

ჩანს, მართალი იყო, ახლა კარიერის საუკეთესო ჩოგბურთს ვთამაშობო, იქითა კვირაში რომ თქვა!

ყოველ შემთხვევაში, ფაქტები ამას ღაღადებს და...

21 წლის შვედი ვინსიგერა მან 52 წუთში შემუსრა.

„ბასტადისა და უმაგის ტურნირების მოგების შემდეგ თავს ცოტა გადაღლილად ვგრძნობ — ამბობდა მერე მოია — მაგრამ ეს ძირითადად სხეულისმიერი სისუსტეა, თორემ ფსიქიკა ყოველი მოგებული მატჩის შემდეგ მიმყარდება".

„ჩოგბურთი ძალზედ რთული რამაა — მსჯელობდა კიდეც — ძალიან ბევრი ელემენტი უნდა მოარგო ერთმანეთს, რათა დიდი ტიტულები მიითვალა და უპირველესი მეჩოგნე შეიქნე".

„ვერ გეტყვით, როდის შევძლებ მორიგი სლემტიტულის მოპოვებას, ცხადია, აშშ-ის ღია პირველობას იმედით ველი, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ჩემი თამაში ყველაზე მეტად როლან გაროსს შეეფერება. იქ ერთხელ უკვე მიმარჯვია და ეგებ კიდევ ერთხელ ვიმარჯვო".

მოიას წლეულს უკვე 35 გამარჯვება დაუგროვდა. ამაზე მეტი შეხვედრა ამ სეზონში მხოლოდ სამ ჩოგბურთელს მოუგია.

სხვაფრივ — მის დარად ტურნირი რიხით დაიწყო წინა კვირის მეორე ტიტულოსანმა, რუსმა მიხაილ იუჟნიმაც, ვინაც სოპოტქალაქში შტუტგარტიდან მერსედესგამარჯვებული ჩავიდა. პოლონელმა დაბროვსკიმ წინააღმდეგობა მას მხოლოდ პირველ სეტში გაუწია.

იმარჯვა ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა ჩეხმა [illegible]. ეს მისი 36-ე საამს[illegible] იყო და იგი სწორედ იმ სამთაგანი გახლავთ, მოიაზე მეტი გამარჯვება რომ დაეკვეხებათ.

სოპოტში ნოვაკი პირველადაა და იმედოვნებს, რომ აქ მაინც შეძლებს სეზონის პირველი ტიტულის მოხვეჭას. თორემ რა გამოდის — დოჰაურსა და კოპენჰაგენურ მეოთხედფინალებს თუ არ ჩავთვლით, მას წლეულს ოკლენდის, ავსტრალიის ღია პირველობის, დუბაის, რომისა და შტუტგარტის ტურნირთა ნახევარფინალებშიც უთამაშია და ასეთი სტაბილური გარჯის სამუქფოდ ერთი ტიტულიც არ ღირსებია.

**BANK OF THE WEST CLASSIC**
სტენფორდი. პარდი
საპრიზო 585 ათასი $

**პირველი წრე**

**მარისა ირვინი** (აშშ) — ჟუსტინ ენენი (6, ბელგია) 6:3, 4:6, 6:1; **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — ანა სმაშნოვა (8, ისრაელი) 6:3, 6:2; **მეგან შონესი** (აშშ) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:5), 6:3); **ანე კრემერი** (ლუქსემბურგი) — მარიტა გრანდე (იტალია) 7:5, 6:2

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — მეილენ ტუ (აშშ) 7:5, 6:2

ამ დღეს ორი რამ საყურადღებო ამბავი მოხდა. ერთი ის, რომ ნაკვალიფიკაციევმა მარისა ირვინმა პირველივე წრიდან დაითხოვა ბელგიელი ჟუსტინ ენენი (6), რაგინდარა ტურნირზე ყოველთვის ფინიშამდე მიმსვლელთა შორის რომ მოიაზრება. ენენმა რვა ორმაგი შეცდომა დაუშვა და 13 ბრეიკპოინტიდან მხოლოდ სამი გაანაღდა.

მეორე კიდევ ის, რომ მრავალმილიონიან ქომაგს, როგორც იქნა და, ერთი ქეციანი გამარჯვება მაინც უძღვნა რუსმა ხექსმეჩოგნე ანა კურნიკოვამ. მის მოულოდნელად ბარაქიან თამაშს მისი ებრაელი სეხნია სმაშნოვა დანებდა.

უჩვეულოდ მობილიზებულ კურნიკოვას ყურადღება მხოლოდ ერთხელ დაეფანტა, როცა გვერდითა კორტიდან, სადაც შარშანდელი ჩემპიონი კიმ კლაისტერსი (4) ამერიკელ მეილენ ტუს სჯაბნიდა, კიმის მიერ ნაგლაჯუნები ბურთი გადმოვარდა.

**ლევან ძელაურაძე**



გუსტავო კუერტენი

რაგბი

# არა! რუსი ქართველს სხვას რას ეტყვის

— **მატჩის** 7 სექტემბერს გამართვის თაობაზე FIRA-AER-ის (ევროპაში რაგბის განვითარების საბჭო) ვებგვერდიდან გავიგე. ეს მცდარი ინფორმაციაა. ჯერ ერთი, FIRA-ს უფლება არ აქვს, მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის კალენდარი დაადგინოს. ეს რაგბის საერთაშორისო საბჭოს საქმეა. IRB-ს კი ჩვენთვის არაფერი უკითხავს. მეორეც, ჩვენი თანხმობის გარეშე მატჩს ვერ გადაიტანენ. ჩვენ ფაქსი გავუგზავნეთ IRB-ს, რათა ყველაფერი განემარტათ. მათ გვიპასუხეს, მატჩის ადრე გამართვაზე ლაპარაკიც არ ყოფილაო. მერე ირლანდიის ნაკრების უფროსები გუნდისთვის სასტუმროს შესარჩევად რომ ჩამოვიდნენ, მათაც ვკითხეთ. ირლანდიელებმაც არაფერი იცოდნენ, ასე რომ, საქართველოსთან 5 ოქტომბერს ვითამაშებთ.

— **გასაგებია, მაგრამ IRB საქართველოს რაგბის კავშირს სიტყვიერად შეუთანხმდა, მატჩი 7 სექტემბერს გაიმართოსო...**

— მე არ ვიცი, ვინ რა მოილაპარაკა. ვიმეორებ, ჩვენთვის არავის მოუმართავს და მატჩის გადატანა ჩვენი თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

— **IRB-მ რომ გთხოვოთ, დათანხმდებით?**

— ეს მარტო ჩემი გადასაწყვეტი არაა, მაგრამ ვეჭვობ, დავთანხმდეთ. ჩვენი ლეგიონერების კლუბებს უკვე მოველაპარაკეთ, რათა მორაგბეები ერთი კვირით ადრე გამოეშვათ. თარიღი თუ შეიცვლება, შეიძლება, კლუბები გაჯიუტდნენ და ნაკრების წევრები მხოლოდ ორი დღით ადრე დაგვითმონ. ეს კი ხელს არ გვაძლევს. მეტის თქმა ამ ეტაპზე არ შემიძლია...

ეს საუბარი ჩვენსა და რუსეთის რაგბის კავშირის აღმასრულებელ დირექტორს ვადიმ პეტრენჩუკს შორის გაიმართა და ძნელი მისახვედრი არაა, რომ 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის საქართველო — რუსეთის მატჩს ეხება. შეგახსენებთ, საქართველოს რაგბის კავშირმა რაგბის საერთაშორისო საბჭოს სთხოვა, რუსებთან მატჩი 5 ოქტომბრის მაგივრად სექტემბრის დასაწყისში გადმოგვიტანეთო. ეს იმიტომ, რომ 28 სექტემბერს ბორჯღალოსნები ირლანდიას სტუმრობენ და რუსეთამდე ერთ კვირას ისვენებენ, როცა რუსები ჩვენამდე ორი კვირა იუქმებენ.

ქართველთა თხოვნას IRB-მ ყური ათხოვა და შემოთვალა, რუსებს 7 სექტემბერს უმასპინძლეთო, მაგრამ ამას რუსეთიც უნდა დასთანხმებოდა. რუსეთს კი უფლება აქვს, რომ IRB-ისვე კარგა ხნის წინ დამტკიცებულ და მისთვის მისაღებ კალენდრის შეცვლას არ დაყაბულდეს.

პეტრენჩუკთან საუბრის შემდეგ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს ვთხოვეთ კომენტარი.

— არ ვიცი, რას აპირებენ რუსები. ჩვენ IRB-ს ვთხოვეთ, რუსეთთან 5 ოქტომბერს დანიშნული მატჩი სექტემბრისთვის გადმოეტანა. IRB-მ კი შემოგვთავაზა, რომ რუსებს 7 სექტემბერს ვუმასპინძლოთ, რაც ჩვენც ხელს გვაძლევს და დავთანხმდით. ახლახან დავრეკე IRB-ში და დამაიმედეს, ყველაფერი კვირის ბოლოს გადაწყდებაო.

**ბაჩო სვანიძე**

# მარტო გვარი რას გიშველის

## ტურ დე ფრანსი 2002


სანტიაგო ბოტერო


ტურის გზა ძნელია, მაგრამ რა ლამაზი

**ამ ეტაპზე** მაინცდამაინც მაღალი მთები არ იყო, მაგრამ წვრილ-წვრილი აღმართების სიმრავლემ და ტრასის სიგრძემაც (228 კმ) ძალზე დიდი დრო წაიღო — პელოტონი 6 საათზე მეტხანს იმყოფებოდა გზაში.

ტური, რომ იტყვიან, დალაგდა და დაწყნარდა. როლები განაწილდა და ალბათ საბოლოოდ გაირკვა, ვის რისი თავი აქვს. ყველა თავის პრობლემას უვლის, ზოგი იმაგრებს პოზიციას, ზოგმაც ეს-ეს არის გადაწყვიტა, საით უნდა მიმართოს ენერგია და უკვე დაკავებული ნიშებიდან სხვების განდევნასა და იქ არც ისე კაშკაშა, მაგრამ მაინც მზის ქვეშ ადგილის მოპოვებას ცდილობს.

ჩემი აზრით, დარჩენილ ხუთ ეტაპზე ლენს არმსტრონგს ალარავინ აუხტება — ყველა ალბათ დარწმუნდა, რომ ეს წელიწადიც მისია. საერთო ჩათვლაში მისი ყოფილი კონკურენტები ბელოკი, რუმსასი, მანსებო, მისივე თანაგუნდელი ერასი და სევილია ტურის ბოლომდე აქეთ-იქით თვალის ცეცებას ალბათ არ დაიწყებენ — მათი ძირითადი საზრუნავი ექვსეულში მოხვედრა და უკეთეს ვარიანტში მეორე და მესამე საპრიზო ადგილები იქნება.

წითელკოპლებიანი მაისურის შენარჩუნებისთვის იზრუნებს ლორან ჟალაბერი. ვირანკი და კიდევ ერთი-ორი ველომრბოლი, რომლებსაც თავიდანვე ეჭირათ თვალი მთის მეფის ტიტულზე, ალბათ ვერაფერს დააკლებენ შესანიშნავ ტაქტიკოსსა და არანაკლები გამოცდილების მქონე სპორტსმენს.

დაემშვება თუ არა ტური ალპებიდან, ახალი ძალით იფეთქებს სპრინტერთა დავა. ავსტრალიელი მაკივენისა და გერმანელი ზაბელის დუელი, დარწმუნებული ვარ, სპრინტის ნამდვილ დღესასწაულად იქცევა.

ვფიქრობ, გარკვეულია გუნდური პირველობის ბედიც. ამერიკული „პოსტალის" სიძლიერის მიუხედავად, დაფნის გვირგვინი ესპანურ „ონსეს" უნდა დარჩეს. თუნდაც იმიტომ, რომ არმსტრონგის თანაგუნდელებს გაცილებით სერიოზული საზრუნავი ექნებათ — უვნებელი მიიყვანონ თავიანთი ლიდერი ელისეს მინდვრებამდე.

მეთხუთმეტე ეტაპი ყველაფერი ზემოთქმულის დადასტურება იყო. პელოტონიდან გაქცეულმა ჯგუფმა გართულებების გარეშე გაიარა თითქმის მთელი ეტაპი და ბოლო, 1600-მეტრიან ლე დუ ალპს მიადგა. ჯგუფის არც ერთი წევრი არც ერთ ტიტულზე არ აცხადებდა პრეტენზიას, თითოეულ მათგანს ეტაპის მოგება ედო გულში. ამიტომაც არ განძრეულა პელოტონი და ის სხვაობაც, რომელსაც გაქცეულებმა ძირითად ჯგუფთან მიაღწიეს, აღარ შეცვლილა. ეტაპის გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა დაწინაურებულთა შინაურ საქმედ იქცა.

ამ შინაურებში ყველაზე უფრო აგრესიულები სანტიაგო ბოტერო, აქსელ მერქსი და მარიო აერტსი გამოდგნენ.

ფინიშამდე 9 კილომეტრით ადრე ეს სამეული ჯერ კიდევ ერთად მიუყვებოდა აღმართს. მერე ბოტერო და მერქსი გავიდნენ წინ. ცოტა ხანში კი კოლუმბიელს, ეტყობა, მობეზრდა დიდი ბელგიელის მთამომავალთან ტანდემში სიარული და გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა. აერტსმაც გამოიღო ხელი...

მართალი გითხრათ, სევდიანი საყურებელი იყო, როგორ მარცხდებოდა მერქსი ბოტეროსა და აერტსთან. რას იზამ, კვიცი გვარზე კი ხტის, მაგრამ ელის სიმაღლეზე ახტომა აქსელის ძალებს, როგორც ჩანს, გვარიანად აღემატება.

სამაგიეროდ, არ დარღვეულა სუბორდინაცია პელოტონში. ბოტეროს ფინიშიდან შვიდი წუთის შემდეგ პირველი სამი ადგილის ძირითადმა პრეტენდენტებმა რუმსასმა, ბელოკიმ და არმსტრონგმა ერთად გადაკვეთეს თეთრი ხაზი.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### ტექნიკური შედეგები

| მე-15 ეტაპი. ვეზონ ლა რომენი — ლე დუ ალპი 228 კმ | |
|---|---|
| 1. სანტიაგო ბოტერო („კელმე", კოლუმბია) | 5 სთ 55 წთ 16 წმ |
| 2. მარიო აერტსი („ლოტო", ბელგია) | +1 წთ 51 წმ |
| 3. აქსელ მერქსი („დომო", ბელგია) | +2 წთ 30 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 62 სთ 53 წთ 36 წმ |
| 2. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | +4 წთ 21 წმ |
| 3. რაიმონდას რუმსასი („ლამპრე", ლიტვა) | +6 წთ 39 წმ |
| **მთის მეფე** | |
| 1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) | 173 ქულა |
| 2. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 120 |
| 3. სანტიაგო ბოტერო („კელმე", კოლუმბია) | 108 |
| **საუკეთესო სპრინტერი** | |
| 1. რობი მაკივენი („ლოტო", ავსტრალია) | 229 ქულა |
| 2. ერიკ ზაბელი („ტელეკომი", გერმანია) | 229 |
| 3. სტიუარტ ოგრეიდი („კრედიტ აგრიკოლა", ავსტრალია) | 170 |
| **გუნდური** | |
| 1. „ონსე" | 140 სთ 03 წთ 18 წმ |
| 2. „ბანესტო" | +7 წთ 02 წმ |
| 3. US პოსტალი | +8 წთ 41 წმ |

# იან ულრიხს ბედის ბორბალი დაეჯახა

**იან ულრიხს** ქვა აღმართში მიეწია. 1997 წელს ტურ დე ფრანსის მოგებით, ამის გარდა სხვა ბევრ ვერაფერში თავგამოჩენითა და უდიდესი ნიჭის გაფლანგვით სახელგანთქმულ მრბოლს დოპინგის ხმარებისთვის ექვსი თვით აკრძალა რაიმე შეჯიბრზე ველოზე შეჯდომა და მის ზურგში აღმართზე ჭაპანწყვეტისას მიწეული ლოდიც ესაა.

რაც შეეხება აღმართს და გაჭირვებას, აქ იანის მრავალტანჯული და ნადასტაქარალი მუხლი ვიგულისხმეთ, რომლის გამოც გერმანელმა წლევანდელი ტური გამოტოვა. და საერთოდ, ამ მუხლის გადამკიდემ წლეულს ერთხელაც ვერ მოახერხა სრული დატვირთვით განეახლებინა ვარჯიში.

ულრიხმა და განმეორებითმა ტესტმა დაადასტურეს, რომ მან მართლაც მიიღო სტიმულატორი, კერძოდ კი ამფეტამინი და გასაკვირიც ისაა, რომ ეს ტურის დაწყების წინ გააკეთა. მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, არ ერბოლა და გაუგებარია, რატომ გადაყლურწა ტაბუდადებული წამალი.

ულრიხს ექვსთვიანი უქმობა გერმანიის ველო-ფედერაციამ გამოუწერა და თან 2000 შვეიცარიული ფრანკითაც დააჯარიმა. ულრიხს გიას 23 მარტამდე აეკრძალება ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობა, რაც ექვს კი არა, რვათვიანი ვადა გამოდის. ფედერაციამ მარტამდე იმიტომ გადაიტანა მრბოლის რეაბილიტირება, რომ ნოემბერში და დეკემბერში რბოლები ისედაც არ ეწყობა და ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის ორი თვე გაცდებაო. ერთი სიტყვით, მრბოლისთვის სანქციის დამწესებლები ულრიხს სუფთა დროს უანგარიშებენ.

ულრიხის დისკვალიფიკაციამ საფიქრალი მოუმრავლა მისი გუნდის, გერმანული „ტელეკომის" მენეჯერობას. გუნდის მთავარკაცი ვოლფგანგ სტროხბანდი შეჭმუხნული წარბებით გამოთქვამს ეჭვს, რომ იანი აქტიურ სპორტში დარჩენაზე ჭოჭმანობს. „მე ველი მის გადაწყვეტილებას, მინდა, მჯეროდეს, რომ ის კვლავ ჩვენთან იქნება მომავალ სეზონში".

ამასობაში კი ულრიხი არდადეგებზე ოკეანგაღმა, ამერიკაში გაემგზავრა და თან წარიტაცა გელფრენდი გაბი. 28 წლისას უკვე მობეზრდა პედლების გამუდმებული ტრიალი და ახლა გაბისთან ერთად სადმე ფლორიდის ან კალიფორნიის პლაჟზე იქნება გართხმული. ალბათ, არც ის ეფიქრება, რომ ოდესღაც მსოფლიოს მომავალ დამპყრობად თვლიდნენ.

**ბოტე ყორშია**


იან ულრიხი



# ბატონი მაინც გაყიდეს


ჯენსონ ბატონის პირველი BAR-ული ინტერვიუ

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ტრადიციულად,** შუა საფორმულო სეზონი, ესე იგი, გაგანია ზაფხული, პილოტების გუნდიდან გუნდში გადასვლა-გადმოსვლის ვარიანტების გაზხილვის დროა. ბევრი ამბავი სიმართლესთან ახლოსაა, ზოგიც ჭორის დონეზეა, მაგრამ არცთუ წასაყრუებელი, არაფრიდან ხომ არ აგორდებოდა.

მთელი თვეა, ხმა დაირხა „რენოდან" ჯენსონ ბატონის მოხსნაზე. გუნდის შეფი ფლავიო ბრიატორე 22 წლის ინგლისელის შეცვლას აპირებსო. ეს ავტომატურად ნიშნავდა მისი მეწყვილე იარნო ტრულის თანამდებობაზე დარჩენას. არადა, მიმდინარე სეზონში სწორედ ბატონია რენოელთა ლიდერი — 11 რბოლიდან ხუთი ჩასათვლელი ექვსეულში დაასრულა და 11 ქულით სატურნირო ცხრილში საპატიო, მეშვიდე ადგილზეა. შედარებისთვის, 28 წლის ბევრად გამოცდილმა ტრულიმ მხოლოდ ოთხი ქულა გამოიმუშავა.

მიუხედავად ამისა, ფრანგული საჯინიბოს იტალიელმა ბოსმა საგაისოდ სწორედ ტრული ირჩია. რას იზამ, კაცია და გუნება, ანუ იარნოც იტალიელია და ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

მოსახსნელად გამზადებული ნიჭიერი მრბოლის შესაძენად უმალ რიგი დადგა. ბატონზე ტაცობა გააჩაღეს „იაგუარმა", „ზაუბერმა", „ტოიოტამ", BAR-მა. საქმეს წერტილი ორიოდე დღის წინ დაესვა — „მომავლის ჩემპიონი" ბრიტანულ-ამერიკულ BAR-ის საკუთრება გახდა. კონტრაქტი ოთხწლიანია, „ორი პლუს ორის" პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ ორი სავალდებულო სეზონის შემდეგ „რენო" სურვილის მიხედვით ან გააგრძელებს, ანაც შეწყვეტს ბრიტანელთან თანამშრომლობას. ხელშეკრულების გაფორმებას დიდი დრო არ წაუღია, რადგან გარიგების მიზეზმა თავად ისურვა ბარმენებთან საქმის დაჭერა — მშვენიერი, სამომავლო გუნდია და კონტრაქტის გასრულებამდე იქნებ ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელიო.

ბატონის ადგილს „რენოს" ტესტდრაივერი, 21 წლის ესპანელი ფერნანდო ალონსო დაიკავებს, BAR-ში კი უმუშევრად, ეტყობა, სადღეისოდ ერთ-ერთი უხნესი მეფორმულე, 36 წლის ოლივიე პანი დარჩება, რაკი მსოფლიოს ექსჩემპიონ კანადელ ჟაკ ვილნევს 2003 წლის ხელშეკრულება უკვე ჯიბეში ჰქონია.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთმა უშველა

კორეელი სინ მი-ნა მეტად პოპულარული გოგო შეიქნა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. სინი გერმანია — კორეის ნახევარფინალური მატჩისას მოხვდათ თვალში შოუ ბიზნესის მენეჯერებს და რამდენიმე დღეში რიგითი მოცეკვავე სოლო მომღერლად იქცა. გოგოს პირველი ალბომი მალევე გამოვა, სინს ახალი სახელი „მის მსოფლიო თასიც" კი შეარქვეს.



REUTERS



# შეცდომა

იახტა არ ჩაძირულა და საერთოდაც არავინ დაშავებულა. ეს ყველაფერი ვარჯიშისას მოხდა, როცა კალიფორნიაში ნავის გამოცდას ლამობდა „დენის კონორს სტარზ ენდ სტრაიპზის" ეკიპაჟი. იახტის მართვისას დაშვებულმა შეცდომამ ასე იცის.







REUTERS

# გახსნის წინ

ხვალ მანჩესტერში საზეიმოდ გაიხსნება ბრიტანეთის თანამეგობრობის რიგით მეჩვიდმეტე თამაშები. ქალაქში თავს იყრიან თანამეგობრობის წევრ ქვეყანათა სპორტული დელეგაციები. გუშინ კანადის გუნდი მანჩესტერის მერიას სწვევია და იქაურ ჰოლში ძველი დროის განთქმული ფიზიკოსის, ჯეიმს ჯოულის ქანდაკებაც უნახავს. მახვილგონიერ მასპინძლებს ფიზიკოსისთვის კანადის დროშა მიუციათ ხელში. მანჩესტერში ღიმილით ჩამოსულა ავსტრალიელი ოლიმპიური ჩემპიონი კეტი ფრიმენიც, რომელიც არ მალავს, რომ თანამეგობრობის ოქრო ჯიბეში უდევს. თავად მანჩესტერი კი მზადაა. ეს ფოთლოვანი ველოსიპედისტის ქანდაკება ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. ეს არის, რომ მანჩესტერში წვიმს. საერთოდაც, ეს წვიმის ქალაქია.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აბულეძიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვამეკიძე, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge